პრაქტიკული მეცადინეობა № 1

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- გამოსახულების ჩაწერა C++-ზე
- გამოსახულების ტიპის განსაზღვრა
- მონაცემთა ძირითადი ტიპები
- არითმეტიკული ოპერატორები
- გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა და ტიპის დადგენა.

მასალა დამოუკიდებლად გასაცნობისათვის:

1. რიცხვებისა და გამოსახულებების (ცხრილის მარცხენა სვეტი) C++-ზე ჩაწერის (ცხრილის მარჯვენა სვეტი) ნიმუშები:

№	გამოსახულება	გამოსახულება C++-ზე
1	0, 3845	0.3845
2	$\frac{1}{6}$	0.166667
3	$-\frac{18}{4}$	-4.5
4	-257,325	-257.325
5	0,0000568	5.68e-005
6	$3a-72b$	3*a-72*b
7	$-9xy$	-9*x*y
8	$0,6n+4,25$	0.6*n+4.25
9	$2b^2+3c-1$	2*b*b+3*c-1
10	$-8m^3+4m^2-5m+6$	-8*m*m*m+4*m*m-5*m+6
11	$1,25ay^2+0,8(b-y)$	1.25*a*y*y +0.8*(b-y)
12	$9a^2-4ab+5b^2$	9*a*a-4*a*b+5*b*b
13	$(5k+2n)(k-4,85n)$	(5*k+2*n)*(k-4.85*n)
14	$(a-b)^2$	(a-b)*(a-b) ან a*a-2*a*b+b*b
15	$(x-y)-7(x+y)^3$	(x-y)-7*(x+y)*(x+y)*(x+y)
16	$\frac{a-0,184b}{ab}$	(a-0.184*b)/(a*b)
17	$[12z-7(x+y)+1]\cdot\frac{y}{z}$	(12*z-7*(x+y)+1)*y/z
18	$\frac{ab}{b+c}-\frac{a+d}{a+b}$	a*b/(b+c)-(a+d)/(a+b)

2. C++-ზე ჩაწერილი გამოსახულებების (ცხრილის მარცხენა სვეტი) ჩვეულებრივი ფორმით ჩაწერის ნიმუშები:

№	გამოსახულება C++-ზე	გამოსახულება
1	0.25*x*x+4*x*y+3.7*y*y	$0,25x^2+4xy+3,7y^2$
2	k*m/(5*m-2*k)	$\frac{km}{5m-2k}$
3	(a+c)/x*y+z/(b+x)	$\frac{(a+c)y}{x}+\frac{z}{b+x}$

4	`d/(a*b)+(b+a)/d`	$\frac{d}{ab}+\frac{b+a}{d}$
5	`d/a*b+(b+a)/d`	$\frac{db}{a}+\frac{b+a}{d}$
6	`(a*b/5-27*(c+d))/(0.43*n)`	$\frac{\frac{ab}{5}-27(c+d)}{0{,}43n}$

3. ზოგიერთი საჭირო ფორმულა:
   1) სამკუთხედის ფართობი: $S=\frac{ah}{2}$, სადაც a სამკუთხედის გვერდია, h კი მასზე დაშვებული სიმაღლე.
   2) წრის ფართობი: $S=\pi R^2$, სადაც R წრის რადიუსია.
   3) წრეწირის სიგრძე: $L=2\pi R$.
   4) მართკუთხედის ფართობი და პერიმეტრი: $S=ab$ და $P=2(a+b)$, სადაც a და b მართკუთხედის გვერდებია.
   5) კვადრატის ფართობი და პერიმეტრი: $S=x^2$ და $P=4x$, სადაც x კვადრატის გვერდია.

სააუდიტორიო სამუშაო:

1. ჩაწერეთ C++-ზე შემდეგი რიცხვები და გამოსახულებები:
   ა) `1542; -67281;` $-\frac{17}{4}$; $\frac{29}{5}$;
   ბ) `36,2247; -0,0000892` - ფიქსირებული წერტილით და სამეცნიერო ფორმით
   გ) $3a+4b+5{,}75$; $-9(x+y)-2{,}3^2$; $5c^2-82ab^3+a^2$; $0{,}75(k-n)+36(m+n)$; $x[\,23(x+y)-3{,}5(y-x)\,]$;
   დ) $\frac{a-b}{15}$; $\frac{-u+3{,}4z}{uz}$; $\frac{y}{x}(n-k)-\frac{73x}{24y}$; $\frac{k(x-y)+m(x+y)}{(y-x)(k+m)}$; $\frac{-\frac{c+d}{3}-8cd}{d-c}$.

2. C++-ზე ჩაწერილი გამოსახულებები ჩაწერეთ ჩვეულებრივი ფორმით:
   ა) `-4.38*a+123.5*b;` ბ) `1/(x*y)-7*y*y;` გ) `(n-m)/(2*m+1.5*n);`
   დ) `0.009*(2*(a+b)-a*b*b);` ე) `-d+2*(3*(a+b)+c);`
   ვ) `5.3/(1.9*(a-c)+d))+b;` ზ) `-36*x/(y*y+x*y+x*x);`
   თ) `u/(z-0.3*u)-0.05/u*z;` ი) `9.2*(k-2*n)/k-7.9/((n+1)*(n-2)+3).`

3. გაიკეთეთ განაცხადი C++-ის ზოგიერთი ტიპის ცვლადზე და განაცხადშივე მოახდინეთ ცვლადების ინიციალიზება (საწყისი მნიშვნელობების მინიჭება):

```
string name = "Giorgi";
int age = 17;
double consult_time = 15.30;
char decimal_point = '.';
bool is_odd = true;
```

```
string name("Giorgi");
int age(17);
double consult_time(15.30);
char decimal_point('.');
bool is_odd(true);
```

4. ცვლადების მნიშვნელობების მიხედვით განსაზღვრეთ მათი ტიპი
   ა) `0.000745;` ბ) `'A';` გ) `"I'm a first year student";` დ) `'?';`

ე) `false`; ვ) `-3275`; ზ) `true`; თ) `492.0275`;
ი) `"The C++ Programming Language"`; კ) `9`.

5. გამოთვალეთ C++-ზე ჩაწერილი შემდეგი გამოსახულებების მნიშვნელობები:

ა) `n/2`, თუ მოცემული გვაქვს განაცხადი `int n = 7;`
ბ) `k/2,` თუ მოცემული გვაქვს განაცხადი `double k = 7;`
გ) `7%2`; დ) `-12%3`; ე) `-(10%4)`.

6. განსაზღვრეთ C++-ზე ჩაწერილი გამოსახულების ტიპი (მთელი თუ ნამდვილი)

ა) `(4-9)*5`; ბ) `3+2.5`; გ) `25/4`; დ) `25./4`; ე) `19%4`; ვ) `-1.5*(7+3)`.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. ჩაწერეთ C++-ზე შემდეგი რიცხვები და გამოსახულებები:

1) ა) `-6750`; ბ) `-π`; გ) `0,04`; დ) `921,054`; ე) `-0,000075`;
2) ა) `10x`; ბ) `y+48`; გ) `3,25a-14b`; დ) $42p^2-8$; ე) c^3;
3) ა) $\frac{b-a}{3}$; ბ) $(x+y)^2$; გ) c^2+cd+d^2; დ) $-5ax^2+4,25bx-3c$;
4) ა) $\frac{k}{mn}+\frac{mn}{k}$; ბ) $\frac{a-b}{y_1}+\frac{y_2}{a+b}$; გ) $\left(x_1^2+y_1^2\right)\left(x_2^2-y_2^2\right)$; დ) $\frac{c+b}{9a}(b-c)$;
ე) $[3(p-q)+5(p+q)]z$; ვ) $2,7\{x+[(x-2y)^2+5,09y]\}$; ზ) $\frac{(a+1)^2}{a^2-1}$;
5) ა) $\frac{1-2y+y^2}{y^3+1}$; ბ) $\frac{1}{ac+3b-ab}$; გ) $\frac{\frac{1}{n}+\frac{1}{m}}{n-m}$; დ) $10\frac{x+y}{\frac{1}{x}+\frac{1}{y}}$; ე) $-\frac{a-c}{b+d}-\frac{bc}{a+c}$;
6) ა) $\frac{a-b}{b}+2\frac{c+d}{d}+\frac{ad-bc}{cd}$; ბ) $7\frac{(y-z)^2}{y^2}+9\frac{(z+y)^2}{yz^2}$; გ) $\frac{m+\frac{n}{m-n}}{5-\frac{m+n}{m}}$.

2. C++-ზე ჩაწერილი გამოსახულებები ჩაწერეთ ჩვეულებრივი ფორმით:
ა) `k*n/(n+k);` ბ) `x-y/3*z;` გ) `a*b/(c-a)*(b+c);`
დ) `(12*t*(x+y)-z*p)/d;` ე) `m/(6*(k-n)+(3*m-n)/k);`
ვ) `(5.4*(a*a+b)-d)/b*b*d;` ზ) `0.06*(a-b)*(a-b)/((a+b)*(a+b)-1.25);`
თ) `(c/(b+d)-8*a)/(a/(d-b)+b/a*c)`.
3. ჩაწერეთ C++-ზე ფორმულები (იხ. **მასალა დამოუკიდებლად გასაცნობისათვის**, პუნქტი 3)
4. ცვლადების მნიშვნელობების მიხედვით განსაზღვრეთ მათი ტიპი
ა) `'a';` ბ) `-27;` გ) `true;` დ) `"I study C++";` ე) `-101.0037;` ვ) `'9';`
ზ) `false;` თ) `50074;` ი) `3.14159;` კ)`"Bjarne Stroustrup"`.

5. განსაზღვრეთ C++-ზე ჩაწერილი გამოსახულების მნიშვნელობა და ტიპი:
ა) `(3+7.)*12;`
ბ) `c/5+8.35,` თუ `c` მთელი რიცხვია და უდრის `15`-ს;
გ) `(14%3+2)/5;`
დ) `(a+b+c)/3,` თუ მოცემული გვაქვს აღწერა `int a=2, b=1, c=4;`
ე) `(m+n)/2.0,` თუ მოცემული გვაქვს აღწერა `int n=3, m=4;`
ვ) `14-x/4,` თუ `x` ნამდვილი რიცხვია და უდრის `9`-ს.

ლაბორატორიული მეცადინეობა № 1

ლაბორატორიული სამუშაოს გეგმა:

1. დაპროგრამების ინტეგრირებული გარემოს გაცნობა (20 წთ)
2. მარტივი ამოცანების აკრეფა, გამართვა, შესრულება, დამახსოვრება (შენახვა) (30 წთ)

დაპროგრამების ინტეგრირებული გარემოს გაცნობა

- გაააქტიურეთ Visual C++ 2010-ის გარემო.
- შექმენით ახალი პროექტი (გზა: Start Page -> New Project -> Win32, და Win32-ში გაავააქტიუროთ Win32 Console Application), Name ველში აკრიფეთ პროექტის სახელი, მაგალითად A და დააჭირეთ OK ღილაკს (ან Enter-ს). გამოსულ Win32 Application Wizard ფანჯრის Next ღილაკზე დაჭერით გადადით Application Settings ფანჯარაში, მონიშნეთ თვისება Empty Project და დააჭირეთ ღილაკს Finish.
- ჩამოშალეთ View მენიუ და აირჩიეთ Solution Explorer. გახსნილ Solution Explorer ფანჯარაში გაუხსნათ Source Files საქაღალდის კონტექსტური მენიუ (თაგვის მარჯვენა ღილაკით). აირჩიეთ Add -> New Item -> C++ File(.cpp), Name ველში აკრიფეთ პროგრამის სახელი, მაგალითად prog1 და დააჭირეთ Add ღილაკს (ან Enter-ს).
- გაიხსნება ტექსტური ფანჯარა სახელით prog1.cpp, რომელშიც უნდა აკრიფოთ თქვენი პროგრამის კოდი.
- აკრეფილი კოდის გაშვებისთვის: build მენიუში ირჩევთ build solution, შემდეგ, თუ შეცდომების სია ცარიელია, მიღებული შედეგების ეკრანზე გამოტანისთვის, Debug მენიუს ჩამონათვალში აირჩიეთ Start Without Debugging. კომპილერის კითხვაზე, გვინდა თუ არა პროგრამის გამართვა, უპასუხეთ დადებითად. შედეგად მიიღებთ პასუხს შავ ფანჯარაში (კონსოლში).

  შენიშვნა: პროგრამის გაშვება შეიძლება სხვადასხვანაირად. თუ რომელიმე სხვა გზას იყენებთ, მაშინ პროგრამაში უნდა გააააქტიუროთ დაკომენტირებული //system("PAUSE"); შეტყობინება.

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1: დაბეჭდეთ ეკრანზე თქვენი სახელი და გვარი. პროგრამას დაურთეთ სათანადო კომენტარები.

შესაბამის C++-პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////
//    ავტორი:
//    პროგრამა: სტუდენტის ვინაობის ბეჭდვა
//    თარიღი: 06/20/2011
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
   cout<<"me var . . .\n";
   //system("PAUSE");
   return 0;
}
```

დავალება:

ა) შეიტანეთ პროგრამაში ცვლილება: დაბეჭდეთ სახელი, გვარი და მისამართი.

ბ) სახელი, გვარი და მისამართი დაბეჭდეთ ცალ-ცალკე სტრიქონზე.

გ) ჩასვით გამოსატანი ტექსტის – მისამართის – ბოლოში და შემდეგ შუაში რიგრიგობით სიმბოლოები: \n, \a, \t, \b, \r. თითოეულ შემთხვევაში გაუშვით პროგრამა და გააანალიზეთ შედეგი.

ამოცანა 2: მოცემული მთელი n რიცხვისთვის დაბეჭდეთ მისი მეხუთედის მთელი ნაწილი და ზუსტი მნიშვნელობა.

შესაბამის C++-პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////
//     ავტორი:
//     პროგრამა: მთელი n რიცხვის მეხუთედის ბეჭდვა
//     თარიღი: 06/20/2011
//////////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
   int n =4;
   cout<< n/5 <<endl;
   cout<< n/5. <<endl;
   system("PAUSE");
   return 0;
}
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა და ახსენით მიღებული შედეგი.

ბ) პროგრამა გაუშვით n–ის შემდეგი მნიშვნელობებისთვის: 9, 17, 33 და გააანალიზეთ შედეგები.

ამოცანა 3. მოცემული ნამდვილი d რიცხვისთვის დაბეჭდეთ მისი მეკხრედი.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. დაწერეთ პროგრამა, რომელიც ეკრანზე გამოიტანს შემდეგ ტექსტს:

   გაიღიმე! გაიღიმე! გაიღიმე!
   გაიღიმე! გაიღიმე!
   გაიღიმე!

2. დაწერეთ პროგრამა, რომელიც მოცემული მთელი a რიცხვისთვის დაბეჭდავს მისი მესამედის მთელ ნაწილს და ზუსტს მნიშვნელობას. პროგრამა შეასრულეთ a–ს შემდეგი მნიშვნელობებისთვის: 2, 10, 25 და ახსენით მიღებული შედეგები.

პრაქტიკული მეცადინეობა № 2

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- სტანდარტული ტიპის ცვლადების ბეჭდვა
- არითმეტიკული და შედარების ოპერატორები

მასალა დამოუკიდებლად გასაცნობისათვის:

1. სტანდარტული ტიპის ცვლადების ბეჭდვის ნიმუშები:

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი
1	`cout <<1111<<5555<<"AAAA";`	11115555AAAA
2	`cout<<1111<<endl<<5555<<endl<<"AAAA"<<endl;`	1111 5555 AAAA
3	`cout<<11.11<<endl<<false<<endl<<true<<endl<<'a'<<endl;`	11.11 0 1 a
4	`double d = 12.00357;` `cout<< d <<endl<< 'd'<<endl;`	12.0036 d
5	`int a = 1111;` `cout<< 'a' <<endl<<a<<endl;`	a 1111

შენიშვნა: აქ და ქვემოთ, იმისათვის რომ ვნახოთ პროგრამის ფრაგმენტის შედეგი, იგი უნდა შევავსოთ სრულ პროგრამულ კოდამდე. მაგალითად, მეხუთე ფრაგმენტისთვის უნდა დავწეროთ:

```
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
    int a = 1111;
    cout<< 'a' <<endl<<a<<endl;

    //system("pause");
    return 0;
}
```

ხოლო სხვა ნიმუშებში შევცვალოთ ერთი ფრაგმენტი მეორეთი.

2. ოპერატორების გამოყენების ნიმუშები:

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`int b = 2;`
	`b+=3;`
	`cout<<"b gaxda "<<b<<endl;`
		b gaxda 5

2	`double k =5.0148;`
	`k+=6;`
	`cout<<"k udris "<<k<<endl;`
		k udris 11.0148

3	`int b =2; double p =2.5;`
	`b*=2;  p*=2;`
	`cout<<"b udris "<<b<<endl`
	`<<"p udris "<<p<<endl;`
		b udris 4
		p udris 5

4	`int n =20; double q =-25;`
	`n/=6;  q/=6;`
	`cout<<"n udris "<<n<<endl`
	`<<"q udris "<<q<<endl;`
		n udris 3
		q udris -4.16667

5	`int c =15;`	c udris 6

	c%=9; cout<<"c udris "<<c<<endl;	
6	string name = "George"; cout<< name <<endl; cout<< name + ' ' + "Lukas"<<endl;	George George Lukas
7	string name = "George"; name+=" Lukas"; cout<< name<<endl;	George Lukas
8	char c = 'F'; c+=1; cout<< c<<endl;	G

9	int m = 11;
	cout<<m++<<endl;
	cout<<m<<endl;
	cout<<++m<<endl<<m<<endl;
		11
		12
		13
		13

10	char c = 'A';
	cout<<c++;
	cout<<c;
	cout<<++c<<c<<endl;
		ABCC

3. როგორ მუშაობს შედარების ოპერატორები

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი
1	cout<< (37 == 42) <<endl;	0 // მცდარი
2	cout<< (25 > 17) <<endl;	1 // ჭეშმარიტი
3	int x =7, y =5; cout<< (x >= y) <<endl;	1 // ჭეშმარიტი
4	int a =55, b =15; cout<< (a <= b) <<endl;	0 // მცდარი
5	string name = "George"; cout<<(name == "George")<<endl;	1 // ჭეშმარიტი
6	string name = "George"; cout<<(name != "George")<<endl;	0 // მცდარი
7	double p =1.051, q =1.05; cout<< (p > q) <<endl;	1 // ჭეშმარიტი
8	double x =-0.000045, y =-0.0045; cout<< (x <= y) <<endl;	0 // მცდარი

საავტორიო სამუშაო:

1. იპოვეთ m ცვლადის მნიშვნელობა, თუ მოცემული გვაქვს განაცხადი int m =4;

   ა) m +=5; ბ) m *=10; გ) m -=6; დ) m /=8; ე) m %=5;

2. იპოვეთ c ცვლადის მნიშვნელობა, თუ მოცემული გვაქვს განაცხადი char c ='K';

   ა) c +=5; ბ) c -=5; გ) c ='M'; დ) --c;

3. იპოვეთ s ცვლადის მნიშვნელობა, თუ გვაქვს განაცხადი string s ="String";

   ა) s +=" AAAA"; ბ) s = s+' '+"AAAA"+'.'; გ) s ="UUUH!";

4. იპოვეთ x ცვლადის მნიშვნელობა, თუ გვაქვს განაცხადი double x = 11.907;

   ა) x++; ბ) x =(x-1.907)/3; გ) x -=11.807; დ) x +=-5;

5. ვთქვათ, x და y int ტიპის ცვლადებია. იპოვეთ მათი მნიშვნელობები:

   ა) x =(7-3)*9; ბ) y =(4+7)/3*2; გ) y =x =(10+8)/6; დ) y =4+5*(x =7/3);

ე) `x =(8+2)*2.5;` ვ) `y =(2+3)*2.5;` ზ) `y = (int)5.5+4.7;`

6. ა) `s` ცვლადს მიანიჭეთ მთელი `a`, `b` და `c` რიცხვების საშუალო არითმეტიკული. ზუსტი შედეგის მისაღებად როგორი ტიპის უნდა იყოს `s`?

ბ) `k` ცვლადს მიანიჭეთ მთელი `n` და `m` რიცხვების სხვაობის მეცხრედი. ზუსტი შედეგის მისაღებად როგორი ტიპის უნდა იყოს `k`?

გ) `C` ცვლადს მიანიჭეთ მთელი `A` და `B` რიცხვების ჯამის 4-ზე გაყოფისას მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი. დაადგინეთ `C` ცვლადის ტიპი.

7. როგორ გავარკვიოთ ორი ცვლადიდან რომლის მნიშვნელობაა მეტი? ახსენით რას დაბეჭდავს შემდეგი პროგრამა.

```
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
int main()
{
   int n =3, m =2;
   cout<<(n == m)<<'\t'
       <<(n > m)<<endl;
   char p ='B', c ='Q';
   cout<<(p != c)<< '\t'
       <<(p <= c)<<endl;
   double x =10.5, y =-0.25;
   cout<<(x < y)<<'\t'
       <<(x >= y)<<endl;
   string S ="Anano", Q ="Aniko";
   cout<<(S > Q)<<'\t'
       <<(S < Q)<<endl;
   //system("PAUSE");
   return 0;
}
```

პასუხი:

```
0       1
1       1
0       1
0       1
Press any key to continue . . .
```

8. რა მნიშვნელობებს მიიღებს `x` და `y` ცვლადები?

```
int x =5, y =3;
x =y; y =x;
```

9. ახსენით სიტყვებით, რას აკეთებს კოდის შემდეგი ორი ფრაგმენტი:

ა)
```
int x =9, y =5, z;
z = x;
x = y;
y = z;
cout<<x<<' '<<y<<endl;
```

ბ)
```
int x =9, y =5;
x = y + x;
y = x - y;
x = x - y;
cout<<x<<' '<<y<<endl;
```

10. მოცემულია სამნიშნა რიცხვი `n`.

ა) დაბეჭდეთ `n` რიცხვის ციფრთა ჯამი.

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
   int n, sum;
   cout<<"Enter integer\n";
   cin>>n;
   sum =n/100+(n/10)%10+n%10;
   cout<<"sum = "<<sum<<endl;
   //system("PAUSE");
   return 0;
}
```

პროგრამის შედეგია:

```
Enter integer
537
sum = 15
Press any key to continue . . .
```

ბ) მთელ k ცვლადს მიანიჭეთ სამნიშნა m რიცხვის შებრუნებული რიგით აღებული ციფრებისგან შედგენილი რიცხვი და დაბეჭდეთ.

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
   int m, k;
   cout<<"Enter m"<<endl;
   cin>>m;
   k =100*(m%10)+10*((m/10)%10)+m/100;
   cout<<"k = "<<k<<endl;
   //system("PAUSE");
   return 0;
}
```

პროგრამის შედეგია:

```
Enter m
357
k = 753
Press any key to continue . . .
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. ა) A ცვლადს მიანიჭეთ მთელი B და D რიცხვების ჯამის მესამედი. ზუსტი შედეგის მისაღებად როგორი ტიპის უნდა იყოს A?
   ბ) განსაზღვრეთ d ცვლადის ტიპი და d–ს მიანიჭეთ p რიცხვის მეოთხედისა და q რიცხვის მეექვსედის სხვაობა, თუ :
   - p და q მთელი რიცხვებია;
   - p და q ნამდვილი რიცხვებია.
2. იპოვეთ y ცვლადის მნიშვნელობა, თუ მოცემული გვაქვს განაცხადი `int x = 7, y = 9;`

   ა) `y =(x == y);` ბ) `y =(x < y);` გ) `y =(x > y);` დ) `y = x <= y;`
   ე) `x = x != y;` ვ) `x += y;` ზ) `y *= x-1;` თ) `y /= x+1;` ი) `y += 2*x-y.`

3. შეამოწმეთ კომპიუტერზე და გაანალიზეთ მიღებული პასუხები (შეაჯამეთ ცხრილი):

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`int x =1, z;`
	`z =x++;`
	`cout<<"x = "<<x`	

	<<"\tz = "<<z<<endl;	

2	int x =1, z;
	z =++x;
	cout<<"x = "<<x
	<<" z = "<<z<<endl;	

3	char s ='B', t; t =s--; cout<<"s = "<<s <<"\tt = "<<t<<endl;	

4	char s ='B', t;
	t =--s;
	cout<<"s = "<<s
	<<"\nt = "<<t<<endl;	

5	double d =15.674, q;
	q =++d -10;
	cout<<"d = "<<d
	<<" q = "<<q<<endl;	

6	double d =15.674, q;
	q =d-- +10;
	cout<<"d = "<<d
	<<" q = "<<q<<endl;	

7	string S = "Hello", K ="Students"; S +=", " + K + '!'; cout<<"S = "<<S<<endl;	

8	bool b =false;
	cout<<++b<<endl;
	b -=1;
	cout<<b<<endl;	

4*. რა შედეგი მიიღება პროგრამის შემდეგი ფრაგმენტის შესრულებით?

```
cout << (0.3 == 3*0.1)<< endl;
```

მითითება: მიღებული პასუხის სახსნისთვის ჩაამატეთ პროგრამაში

```
#include <iomanip>
```

და დაბეჭდეთ 3*0.1 –ის მნიშვნელობა 20 ათწილადი ნიშნის სიზუსტით:

```
cout << fixed << setprecision(20);
cout << 3*0.1 << endl;
```

5. ახსენით, რას დაბეჭდავს პროგრამის შემდეგი ფრაგმენტი და რატომ:

ა)
```
string A ="stumari", B ="studenti";
cout << (A < B) << endl << (A != B) << endl;
```

ბ)
```
string C ="kargi ";
cout << (C + "amindi" >= C + "ambavi") << endl;
```

გ)
```
string K ="Word", M ="Excel";
cout << (K > M) << '\t'<<(K =M) << endl;
cout << (K == M) << endl;
```

6. ახსენით, რას აკეთებს კოდის შემდეგი სამი ფრაგმენტი:

ა)
```
char p ='!', c ='?', d;
d = p; p = c; c = d;
cout << p << ' ' << c << endl;
```

ბ)
```
bool t = true, f = false, d;
d = f; f = t; t = d;
cout << boolalpha << "t gaxda " << t
```

```
        << endl << "f gaxda " << f << endl;
```

გ)
```
string S ="Gel", Q ="Euro", P;
P = S; S = Q; Q = P;
cout<<S<< '\t'<<Q<<endl;
```

7. შეამოწმეთ, რას დაბეჭდავს შემდეგი პროგრამა და ახსენით:

```
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
   char x ='*';
   cout<<x<<' '<<(int)x<<endl;
   int p =127;
   cout<<(char)p<<" simbolos kodi = "
       << p << endl;
   //system("PAUSE");
   return 0;
}
```

8. d ცვლადს რიგრიგობით მიანიჭეთ a რიცხვის ყველა ციფრი, თუ:
   ა) a არის ოთხნიშნა მთელი რიცხვი;
   ბ) a არის ხუთნიშნა მთელი რიცხვი.

9. მოცემულია სამნიშნა N რიცხვი. დაბეჭდეთ N რიცხვის ციფრები შებრუნებული რიგით.

ლაბორატორიული მეცადინეობა № 2

ლაბორატორიული სამუშაოს ამოცანა:

- სტრიქონების წაკითხვა და ბეჭდვა
- მთელი რიცხვების წაკითხვა
- სამი რიცხვის საშუალო არითმეტიკულის გამოთვლა

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1. სტრიქონის შეტანა კლავიატურიდან და გამოტანა ეკრანზე.

```
//////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: სახელის წაკითხვა და ბეჭდვა
//  თარიღი:
//////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
int main()
{
   cout<<"Please enter your first name"
         " (followed by 'Enter'):\n";
   string first_name;
   cin >> first_name;
   cout << "Hello, " << first_name << "!\n";
   //system("PAUSE");
   return 0;
}
```

დავალება: გაუშვით პროგრამა შესრულებაზე: შეიტანეთ კლავიატურიდან თქვენი სახელი, ბოლოს დააჭირეთ Enter –ს (რითაც დაადასტურებთ შეტანილ ინფორმაციას). გააანალიზეთ მიღებული შედეგი.

ამოცანა 2. სტრიქონის და მთელი რიცხვის შეტანა კლავიატურიდან და გამოტანა ეკრანზე.

```
//////////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: სახელის და ასაკის წაკითხვა და ბეჭდვა
//  თარიღი:
//////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
int main(){
   cout<<"Please enter your first name"
         " and age:\n";
   string first_name;
   int age;
   cin >> first_name >> age;
   cout << "Hello, " << first_name << "!\n"
        << "You are " << age << " years old" << endl;
   //system("PAUSE");
   return 0;
}
```

დავალება: გაუშვით პროგრამა შესრულებაზე: შეიტანეთ კლავიატურიდან თქვენი სახელი და ასაკი, შეტანა დაასრულეთ Enter –ზე დაჭერით. გააანალიზეთ მიღებული შედეგი.

ამოცანა 3. პროგრამა "გეკითხებათ" თქვენ სახელსა და გვარს და შემდეგ ბეჭდავს მისალმების სტრიქონს.

```
////////////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: სახელისა და გვარის წაკითხვა და ბეჭდვა
//  თარიღი:
////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
int main(){
   cout<<"Please enter your first name:\n";
   string first_name;
   cin >> first_name;
   cout << "Please enter your last name:\n";
   string last_name;
   cin >> last_name;
   cout << "Hello, " << first_name <<' '
       << last_name<<endl;
   //system("PAUSE");
   return 0;
}
```

დავალება:

ა) გაუშვით პროგრამა შესრულებაზე: შეიტანეთ კლავიატურიდან თქვენი სახელი და შემდეგ გვარი. გააანალიზეთ მიღებული შედეგი.

ბ) გადაწერეთ პროგრამა: პირველი 6 სტრიქონი შეცვალეთ შემდეგი 3 -ით

```
cout<<"Please enter your first and last names\n";
string first_name, last_name;
cin>>first_name>>last_name;
```

კვლავ გაუშვით პროგრამა შესრულებაზე და შეიტანეთ კლავიატურიდან თქვენი სახელი და გვარი. გააანალიზეთ მიღებული შედეგი.

ამოცანა 4. დაბეჭდეთ სხვადასხვა ტიპებისთვის მათი წარმოდგენის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობები

```
////////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: უდიდესი და უმცირესი სიდიდეები
//  თარიღი:
////////////////////////////////////////////
```

ა) მთელი ტიპებისა:

```
#include <iostream>
#include <climits>
using namespace std;
int main()
{
   cout << INT_MIN << '\t' << INT_MAX << endl;
   cout << 0 << '\t' << UINT_MAX << endl;
   cout << CHAR_MIN <<'\t'<< CHAR_MAX << endl;
   cout << 0<<'\t' << UCHAR_MAX << endl;
   cout << SHRT_MIN <<'\t' << SHRT_MAX << endl;
   cout << 0<<'\t' <<USHRT_MAX<<endl;
   cout << LONG_MIN <<'\t' << LONG_MAX << endl;
   cout << 0 <<'\t' <<ULONG_MAX << endl;
```

```
    cout << sizeof(long long) << endl;
    cout << LLONG_MIN << '\t' << LLONG_MAX << endl;
    cout << 0 << '\t' << ULLONG_MAX << endl;
    //system("PAUSE");
    return 0;
}
```

ბ) ნამდვილი ტიპებისა:

```
#include <iostream>
#include <cfloat>
using namespace std;
int main()
{
    cout << FLT_MIN <<' \t' << FLT_MAX << endl;
    cout << DBL_MIN<<'\t' << DBL_MAX << endl;
    //system("PAUSE");
    return 0;
}
```

დავალება: გაუშვით პროგრამა შესრულებაზე: შეიტანეთ კლავიატურიდან სამი მთელი რიცხვი და გააანალიზეთ მიღებული შედეგი.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. მოცემული სამი მთელი რიცხვისთვის, x ცვლადს მიანიჭეთ მათი საშუალო არითმეტიკული და დაბეჭდეთ იგი.

შესაბამისი C++ –პროგრამის სახეა:

```
//////////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: სამი რიცხვის საშუალო არითმეტიკული
//  თარიღი:
//////////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
    int a, b, c;
    cout<<"Enter 3 integers :\n";
    cin>>a>>b>>c;
    double x;
    x =(a+b+c)/3.;        // საშუალო
    cout << "The average is " << x << endl;
    //system("pause");
    return 0;
}
```

დავალება: გაუშვით პროგრამა შესრულებაზე: შეიტანეთ კლავიატურიდან სამი მთელი რიცხვი და გააანალიზეთ მიღებული შედეგი.

2. რა მოხდება, თუ მთელი რიცხვი უფრო მეტი აღმოჩნდება, ვიდრე ამას ამ რიცხვისათვის არჩეული ტიპი ითვალისწინებს?

გაარჩიეთ პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <climits>
using namespace std;
int main(){
```

```
    int x =INT_MAX, y =INT_MIN;
    cout<<"x = "<<x<<'\t'
        <<"x + 1 = " << x + 1 << '\t'
        <<"x + 2 = " << x + 2 << endl;
    cout<<"y = " << y <<'\t'
        <<"y - 1 = " << y – 1 << '\t'
        <<"y - 2 = " << y – 2 << endl;
    //system("pause");
    return 0;
}
```

დავალება:

ა) შეასრულეთ მოცემული პროგრამა. გააანალიზეთ მიღებული შედეგები.

ბ) შეასწორეთ პროგრამა და შეასრულეთ იგივე ოპერაციები უნიშნო მთელი ტიპის რიცხვებისთვის (ტიპი **unsigned int**). გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში x =UINT_MAX, y =0.

პრაქტიკული მეცადინეობა № 3

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- **if** შეტყობინება, **if-else** შეტყობინება
- ოპერატორი **? :**

მასალა დამოუკიდებლად გასაცნობისათვის:

1. **if, if-else** შეტყობინებებით განხორციელებული განშტოების რამდენიმე ნიმუში:

№	პროგრამის ტრანსმენტი	შედეგი
1	cout<<"1111\n"; if(5 > 3) cout<<"2222\n"; cout<<"3333\n";	1111 2222 3333
2	cout<<"1111\n"; if(15 <= 3) cout<<"2222\n"; cout<<"3333\n";	1111 3333

3	cout<<"1111\n";
	if(15 <= 3)
	  cout<<"2222\n";
	else
	  cout<<"3333\n";
	cout<<"4444\n";
		1111
		3333
		4444

4	int a =11;
	cout<<"1111\n";
	if(a >= 5)
	  cout<<"2222\n";
	else
	  cout<<"3333\n";
	cout<<"4444\n";
		1111
		2222
		4444

6	if(true) // იგივეა რაც if(1)
	  cout<<"yes";
	else
	  cout<<"no";
		yes

7	if(0) // იგივეა რაც if(false)
	  cout<<"yes";
	else
	  cout<<"no";
		no

9	int k = 7;
	if(k > 0)
	  cout<<k<<" > 0"<<endl;
	else
	  cout<<k<<" <= 0"<<endl;
		7 > 0

10	int a =10,b =111;
	if(a > b)
	  cout<<a<<" > "<<b<<endl;
	else
	  cout<<a<<" <= "<<b<<endl;
		10 <= 111

11	int x =8;
	if(x % 2 == 0)
	  cout<<x<<" is even\n";
	else
	  cout<<x<<" is odd\n";
		8 is even

12	`int x =9;`
	`if(x % 2 == 0)`
	`  cout<<x<<" is even\n";`
	`else`
	`  cout<<x<<" is odd\n";`
		`9 is odd`

13	`int x =12;`
	`if(x % 3 != 0)`
	`  cout<<x<<" ar aris 3-is jeradi\n";`
	`else`
	`  cout<<x<<" 3-is jeradia\n";`
		`12 3-is jeradia`

14	`int x =14;`
	`if(x % 3 != 0)`
	`  cout<<x<<" ar aris 3-is jeradi\n";`
	`else`
	`  cout<<x<<" 3-is jeradia\n";`
		`14 ar aris 3-is jeradi`

2. ჩადგმული **if-else** შეტყობინების გამოყენების რამდენიმე ნიმუში (გავითვალისწინოთ, რომ **else** შეტყობინება ეკუთვნის მის წინ მდგარ პირველივე **if** შეტყობინებას):

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`if(5 >= 0)`
	`  if(3 > 2) cout<<"yes";`
	`  else cout<<"no";`
		`yes`

2	`if(5 >= 0)`
	`  if(2 > 3) cout<<"yes";`
	`  else cout<<"no";`
		`no`

3	`if(5 < 0)`
	`  if(2 > 3) cout<<"yes";`
	`  else cout<<"no";`	

4	`if(5 < 0)`
	`  if(2 > 3) cout<<"yes";`
	`  else cout<<"no";`
	`else cout<<"this";`
		`this`

3. if-else შეტყობინებაში ლოგიკური ოპერატორების გამოყენების რამდენიმე ნიმუში:

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`if( 5 > 3  && 123 <= 3736 )`
	`// ეს სტრიქონი კომპილერისთვის იგივეა რაც if( 1 && 1 )`
	`  cout<<"1111\n";`
	`else`
	`  cout<<"2222\n";`
		`1111`

2	`if( 5 > 333  && 123 <= 3736 )`
	`// ეს სტრიქონი კომპილერისთვის იგივეა რაც if( 0 && 1 )`
	`  cout<<"1111\n";`
	`else`
	`  cout<<"2222\n";`
		`2222`

3	`if( 5 > 333  || 123 <= 3736 )`
	`// ეს სტრიქონი კომპილერისთვის იგივეა რაც if( 0 || 1 )`
	`  cout<<"1111\n";`
	`else`
	`  cout<<"2222\n";`
		`1111`

4	`if( 5 > 333  || 123 > 3736 )`
	`// ეს სტრიქონი კომპილერისთვის იგივეა რაც if( 0 || 0 )`
	`   cout<<"1111\n";`
	`else`
	`   cout<<"2222\n";`
		2222

სააუდიტორიო სამუშაო:

1. დაადგინეთ და დაბეჭდეთ

ა) ორ მთელ რიცხვს შორის უდიდესი

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  int a =21, b =15, max;
  if(a > b) max =a;
  else max =b;
  cout<<"udidesi = "<<max<<endl;
  system("pause");
  return 0;
}
```

პასუხი :

```
udidesi = 21
Press any key to continue . . .
```

ბ) ორ სიმბოლოს შორის უდიდესის ამორჩევა **?** **:** ოპერატორის გამოყენებით

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
   char p ='A', c ='M', max;
   max = p > c ? p : c;
   cout<<"udidesi aris "<<max<<endl;
   system("pause");
   return 0;
}
```

პასუხი:

```
udidesi aris M
Press any key to continue . . .
```

2. იპოვეთ და დაბეჭდეთ ორ სტრიქონს შორის უმცირესი

```
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
int main(){
   string S ="netbook", P ="ipod", min;
   min =S;
   if(P < min) min =P;
   cout<<"umciresi striqonia \""
       <<min<<"\""<<endl;
   system("pause");
   return 0;
}
```

პასუხი:

```
umciresi striqonia "ipod"
Press any key to continue . . .
```

3. იპოვეთ და დაბეჭდეთ სამ ნამდვილ ცვლადს შორის უმცირესი

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
   double x =1.5,y =2.0,z =-1.2, min;
   min =x;
```

```
    if(y < min) min =y;
    if(z < min) min =z;
    cout<<"min = "<<min<<endl;
    system("pause");
    return 0;
}
```

პასუხი:

```
min = -1.2
Press any key to continue . . .
```

4. იპოვეთ და დაბეჭდეთ y ცვლადის მნიშვნელობა:

ა) $y=\begin{cases} 1-x^2, & \text{თუ } x>-2 \\ 5x+7, & \text{თუ } x\le -2 \end{cases}$

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
    int x =2, y;
    if(x >- 2) y =1-x*x;
    else  y =5*x+7;
    cout<<"y = "<<y<<endl;
    system("pause");
    return 0;
}
```

პასუხი:

```
y = -3
Press any key to continue . . .
```

ბ) $y=\begin{cases} x, & \text{თუ } -5\le x\le 5 \\ 2*x-2, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში} \end{cases}$

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
    int x =10, y;
    if(x >= -5 && x <= 5) y =x;
    else  y =2*x-2;
    cout<<"y = "<<y<<endl;
    system("pause");
    return 0;
}
```

პასუხი:

```
y = 18
Press any key to continue . . .
```

გ) $y=\begin{cases} \dfrac{x}{x-5}, & \text{თუ } x\ge 0\ (x\ne 5) \\ 5, & \text{თუ } x=5 \\ 4x^2, & \text{თუ } x<0 \end{cases}$

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
    double x =7, y;
    if(x >= 0)
       if(x == 5)y =5;
       else y =x/(x-5);
    else y =4*x*x;
    cout<<"y = "<<y<<endl;
    system("pause");
```

```
    return 0;
}
```

პასუხი:

```
y = 3.5
Press any key to continue . . .
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. მიუთითეთ შეკდომები, რომლებიც დაშვებულია პროგრამის შემდეგ ფრაგმენტებში:

ა)
```
int x =1,y =2;
if(x < 2) x =x+1; y =0;
else x =0; y =y+1;
cout<<"x = "<<x<<" y = "<<y<<endl;
```

ბ)
```
int x =-1,y =3;
if x>0 x =x+1;
else {x =0; y =y+1;}
cout<<"x = "<<x<<" y = "<<y<<endl;
```

გ)
```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  int x =1,y =2;
   if(x == 1)
      if(y == 1)
         cout<<"x = "<<x<<" y = "<<y<<endl;
   else cout<<"x != 1\n";
  system("pause");
   return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია :

```
x != 1
Press any key to continue . . .
```

რაც არასწორია. შეეცადეთ პროგრამა შეასწოროთ.

2. რა იქნება პროგრამის შემდეგი ფრაგმენტის შესრულების შედეგი? (შეავსეთ ცხრილი)

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`int x, y =-3;`
	`if(y != 0) x =10;`
	`cout<<"x = "<<x<<endl;`	

2	`int x, y =-3;`
	`if(y == 0) x =10;`
	`else x =5;`
	`cout<<"x = "<<x<<endl;`	

3	`int  x =1,y =1,z;`
	`if(x > 0 && y <= 1)`
	`  z =x+y;`
	`else`
	`  z =y-x;`
	`cout<<"z = "<<z<<endl;`	

4	`int  x =1,y =1,z;`
	`if(x < 0 && y <= 1)`
	`  z =x+y;`
	`else`
	`  z =y-x;`
	`cout<<"z = "<<z<<endl;`	

3. იპოვეთ და დაბეჭდეთ y ცვლადის მნიშვნელობა. პროგრამა შეასრულეთ `int x` –ის სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის:

ა) $y = \begin{cases} x+1, & \text{თუ } x \geq 5 \\ x-1, & \text{თუ } x < 5 \end{cases}$

ბ) $y = \begin{cases} x^2+5, & \text{თუ } x > 2 \\ -2-x, & \text{თუ } x \leq 2 \end{cases}$

გ) $y = \begin{cases} 1, & \text{თუ } x < -1 \text{ ან } x > 1 \\ 2x-1, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში} \end{cases}$

დ) $y = \begin{cases} \dfrac{1}{x+5}, & \text{თუ } x \geq 0 \\ 5x^2, & \text{თუ } x < 0 \ (x \neq -5) \\ 0, & \text{თუ } x = -5 \end{cases}$

4. შეადარეთ მოცემული ორი ნამდვილი რიცხვი და დაბეჭდეთ მათ შორის უმცირესი. თუ რიცხვები ტოლია დაბეჭდეთ შესაბამისი გზავნილი.

5. მოცემული მთელი ტიპის ერთი რიცხვი გაყავით მეორეზე და შედეგი დაბეჭდეთ. თუ გამყოფი ნულის ტოლია დაბეჭდეთ შესაბამისი გზავნილი.

6. მოცემულია მთელი რიცხვი `k`. გავზარდოთ მისი მნიშვნელობა 5–ით, თუ იგი ლუწია, ხოლო თუ კენტია – გავზარდოთ 3–ჯერ და დავბეჭდოთ.

7. ქვემოთ მოცემული პროგრამა პოულობს `x` რიცხვის მოდულს:

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
 int x =-7, modulx;
   modulx = x >= 0 ? x : -x;
   cout<<x<<" -is moduli udris "<<modulx
       <<" -s"<<endl;
   system("pause");
   return 0;
}
```

პასუხი:

```
-7 -is moduli udris 7 -s
Press any key to continue . . .
```

ა) შეასრულეთ იგი `x`–ის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის და დარწმუნდით მის სისწორეში;

ბ) დაწერეთ პროგრამა, რომელიც ამოხსნის იგივე ამოცანას **`if-else`** შეტყობინების გამოყენებით.

8. დაწერეთ პროგრამა, რომელიც სამ მთელ რიცხვს შორის აირჩევს უმცირესს და დაბეჭდავს მას.

9*. `k` ცვლადს მიანიჭოთ იმ მეოთხედის ნომერი, რომელშიც ძევს წერტილი `A(x,y)` `(xy!=0)`. დაწერეთ პროგრამა და განიხილეთ შემთხვევები: ა) `A(-1,3);` ბ) `A(2,-5);` გ) `A(-4,-7);` დ) `A(7,4)`.

10*. ცნობილია, რომ მოცემული ოთხი `a, b, c, d` რიცხვიდან სამი ტოლია, ერთი კი განსხვავებული. `n` ცვლადს მიანიჭოთ განსხვავებული რიცხვის სიდიდე. დაწერეთ პროგრამა და ჩაატარეთ მისი ტესტირება სხვადასხვა ოთხეულებისთვის.

ლაბორატორიული მეცადინეობა № 3

ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა:

- **char** ტიპი
- **if-else** შეტყობინება
- ASCII კოდების შესახებ

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1. გაუშვით შემდეგი პროგრამა შესრულებაზე:

```
//////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: ascii.cpp, რომელიც გვიჩვენებს
//            სიმბოლოების კოდებს
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
   char x1 ='a', x2 ='b', x3 ='c';
   cout << "simbolo " << x1 << "  kodi " << (int)x1 << endl;
   cout << "simbolo " << x2 << "  kodi " << (int)x2 << endl;
   cout << "simbolo " << x3 << "  kodi " << (int)x3 << endl;
   system("pause");
   return 0;
}
```

დავალება:

1. ჩაატარეთ პროგრამის შედეგის ანალიზი.
2. განსხვადი ცვლადებზე შეცვალეთ შემდეგით:
   ა) **char** x1='0', x2='1', x3='2';
   ბ) **char** x1='K', x2='L', x3='M';

   ორივე შემთხვევაში შეასრულეთ პროგრამა და დარწმუნდით თქვენს დასკვნებში.

ამოცანა 2. გაუშვით შემდეგი პროგრამა შესრულებაზე:

```
//////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: სიმბოლური და მთელი ტიპის
//            ცვლადების შეკრება
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
    char x ='a'; int y =2, k;
    k = x+y;
    cout<<"k = "<<k<<endl
        <<"k = "<<char(k)<<endl;
    system("pause");
    return 0;
}
```

დავალება:

ა). გააანალიზეთ პროგრამის შედეგი.

ბ). შეცვალეთ x –სა და y –ის მნიშვნელობები, კვლავ შეასრულეთ პროგრამა და დარწმუნდით თქვენს დასკვნებში.

ამოცანა 3. ვიპოვოთ ორ სიმბოლოს შორის უდიდესი. ამოვბეჭდოთ მისი მნიშვნელობა და კოდი (**შენიშვნა:** ორ სიმბოლოს შორის უდიდესია ის, რომლის კოდიც მეტია).

```
//////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: სიმბოლოებს შორის უდიდესის
//              პოვნა
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
   char x ='a', y ='k', m;
   // ორ სიმბოლოს შორის უდიდესის კოდი
   if( x > y) m =x;
   else m =y;
   cout<<(int)m<<endl;
   // ორ სიმბოლოს შორის უდიდესი
   cout<<m<<endl;
   system("pause");
   return 0;
}
```

დავალება:

შეცვალეთ პროგრამა ისე, რომ x –სა და y –ის მნიშვნელობების შეტანა ხდებოდეს კლავიატურიდან, კვლავ შეასრულეთ პროგრამა და დარწმუნდით მის სისწორეში.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. დაადგინეთ 'd' და 'z' სიმბოლოთა კოდები.
2. დაწერეთ პროგრამა, რომელიც გაარკვევს კოდების დიაპაზონს:
   ა)'A'–დან 'Z' სიმბოლომდე. (**მითითება:** საკმარისია დაბეჭდოთ 'A' და 'Z'-ის კოდები).
   ბ)'0'–დან '9' სიმბოლომდე.
3. დაადგინეთ 120-ის ტოლი კოდის მქონე სიმბოლო.
4. იპოვეთ ორ სიმბოლოს შორის უმცირესი. დაბეჭდეთ მისი მნიშვნელობა და კოდი.
5. იპოვეთ სამ სიმბოლოს შორის უდიდესი. დაბეჭდეთ მისი მნიშვნელობა და კოდი.

პრაქტიკული მეცადინეობა № 4

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- მათემატიკური ფუნქციების გამოყენება
- ოპერატორი **sizeof**
- ამორჩევის **switch** შეტყობინება. **break** შეტყობინება

მასალა დამოუკიდებლად გასაცნობისათვის:

1. ზოგიერთი მათემატიკური ფუნქცია:
   1) `abs(x)` ფუნქციაა, რომელიც გამოითვლის **მთელი** x რიცხვის მოდულს – **მთელ** რიცხვს. `fabs(x)` ფუნქცია გამოითვლის **ნამდვილი** x რიცხვის მოდულს – **ნამდვილ** რიცხვს. ამ ფუნქციებით სარგებლობისათვის საჭიროა `#include<cmath>` დირექტივის ჩართვა.

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი
1	`cout<<abs(-21)<<endl;`	21
2	`cout<<abs(345)<<endl;`	345
3	`cout<<abs(0)<<endl;`	0
4	`cout<<fabs(-32.25)<<endl;`	32.25
5	`cout<<fabs(98.00457)<<endl;`	98.0046
6	`cout<<fabs(-1)<<endl;`	1

   2) ფუნქცია `sqrt(x)` გამოითვლის **არაუარყოფითი ნამდვილი** x რიცხვიდან კვადრატულ ფესვს – **ნამდვილ** რიცხვს. ფუნქცია აღწერილია `cmath` ფაილში.

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი
1	`cout<<sqrt(2.25)<<endl;`	1.5
2	`cout<<sqrt(-2.25)<<endl;`	-1.#IND
3	`cout<<sqrt(36.)<<endl;`	6
4	`cout<<sqrt(-16.0)<<endl;`	-1.#IND
5	`cout<<sqrt(0.)<<endl;`	0

   3) ფუნქცია `pow(x,y)` გამოითვლის x^y მნიშვნელობას – **ნამდვილ** რიცხვს, სადაც x და y – **ნამდვილი** რიცხვებია. საჭიროებს ფუნქცია აღწერილია `cmath` ფაილში.

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი
1	`cout<<pow(1.44, 0.5)<<endl;`	1.2
2	`cout<<pow(2.0, -3)<<endl;`	0.125
3	`cout<<pow(3.0, 3)<<endl;`	27
4	`cout<<pow(-0.7, 2)<<endl;`	0.49
5	`cout<<pow(-5, 4.0)<<endl;`	625
6	`cout<<pow(-0.2, -3)<<endl;`	-125
7	`cout<<pow(-16,0.5)<<endl;`	-1.#IND

2. ოპერატორი **sizeof**:
   მოცემული კომპიუტერის მეხსიერებაში მოცემული ტიპის ობიექტის ზომის გარკვევა შეიძლება **sizeof** ოპერატორის საშუალებით. პროგრამაში შეგვიძლია ვისარგებლოთ **int** ტიპის მინიმალური `INT_MIN` და მაქსიმალური `INT_MAX` მუდმივების მნიშვნელობებით, **unsigned int** (უნიშნო მთელი) ტიპის მაქსიმალური `UINT_MAX` მუდმივის მნიშვნელობით, **char** ტიპის მინიმალური `CHAR_MIN` და მაქსიმალური `CHAR_MAX` მუდმივების მნიშვნელობებით. ამ მუდმივების მნიშვნელობებით სარგებლობისთვის ჩავრთოთ `#include<climits>` დირექტივა.

float ტიპის მუდმივების მნიშვნელობებია – მინიმალური FLT_MIN და მაქსიმალური FLT_MAX, **double** ტიპის მუდმივების მნიშვნელობებია – მინიმალური DBL_MIN და მაქსიმალური DBL_MAX. ამ მუდმივების მნიშვნელობებით სარგებლობისთვის ჩავრთოთ #include<cfloat> დირექტივა.

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`// int ტიპის ზომა`
	`cout<<sizeof(int)<<" baiti\n";`
	`// int ტიპის რიცხვების დიაპაზონი`
	`cout<<INT_MIN<<" : "<<INT_MAX<<endl;`
		4 baiti
		-2147483648 : 2147483647

2	`// unsigned int ტიპის ზომა`
	`cout<<sizeof(unsigned int)<<" baiti\n";`
	`// unsigned int ტიპის რიცხვების დიაპაზონი`
	`cout<<0<<" : "<<UINT_MAX<<endl;`
		4 baiti
		0 : 4294967295

3	`// char ტიპის ზომა`
	`cout<<sizeof(char)<<" baiti\n";`
	`// char ტიპის ცვლილების დიაპაზონი`
	`cout<<CHAR_MIN<<" : "<<CHAR_MAX<<endl;`
		1 baiti
		-128 : 127

4	`// unsigned char ტიპის ზომა`
	`cout<<sizeof(unsigned char)<<" baiti\n";`
	`// char ტიპის ცვლილების დიაპაზონი`
	`cout<<0<<" : "<<UCHAR_MAX<<endl;`
		1 baiti
		0 : 255

5	`// float ტიპის ზომა`
	`cout<<sizeof(float)<<" baiti\n";`
	`// float ტიპის რიცხვების დიაპაზონი`
	`cout<<FLT_MIN<<" : "<<FLT_MAX<<endl;`
		4 baiti
		1.17549e-038 : 3.40282e+038

6	`// double ტიპის ზომა`
	`cout<<sizeof(double)<<" baiti\n";`
	`// double ტიპის რიცხვების დიაპაზონი`
	`cout<<DBL_MIN<<" : "<<DBL_MAX<<endl;`
		8 baiti
		2.22507e-308 : 1.79769e+308

3. მაგალითები **switch** შეტყობინების გამოყენებაზე

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`int a =5;`
	`switch(a){`
	`  case 3: cout<<"a aris 3\n"; break;`
	`  case 5: cout<<"a aris 5\n"; break;`
	`  case 8: cout<<"a aris 8\n"; break;`
	`}`
		`/* დაიბეჭდება */`
		a aris 5

2	`int x =7;`
	`switch(x){`
	`  case 1: cout<<"x = 1\n"; break;`
	`  case 3: cout<<"x = 2\n"; break;`
	`  default: cout<<"x != 1, x != 3\n"; break;`
	`}`
		`/* დაიბეჭდება */`
		x != 1, x != 3

3	`int n =3;` `switch(n){`	`/* დაიბეჭდება */`

	`  case 1: cout<<"Anna\n"; break;`
	`  case 3: cout<<"Irakli\n"; break;`
	`  default: cout<<"Giorgi\n"; break;`
	`}`
		`Irakli`

4	`int n =3;`
	`switch(n){`
	`  case 1: cout<<"Anna\n"; break;`
	`  case 3: cout<<"Irakli\n";`
	`  default: cout<<"Giorgi\n"; break;`
	`}`
		`/* დაიბეჭდება */`
		
		`Irakli`
		`Giorgi`

5	`int n =1, m;`
	`switch(n){`
	`  case 1: m =n+1; cout<<"m = "<<m<<endl;`
	`  case 2: m =3*n; cout<<"m = "<<m; break;`
	`  default: m =n; cout<<"m = "<<m; break;`
	`}`
		`/* დაიბეჭდება */`
		
		`m = 2`
		`m = 3`

6	`int n =1, m;`
	`switch(n){`
	`  case 1: m =n+1; cout<<"m = "<<m<<endl;`
	`  case 2: m =3*n; cout<<"m = "<<m<<endl;`
	`  default: m =n; cout<<"m = "<<m<<endl;break;`
	`}`
		`/* დაიბეჭდება */`
		`m = 2`
		`m = 3`
		`m = 1`

10	`char c ='A';`
	`switch(c){`
	`  case 'A': cout<<"Aleko\n";  break;`
	`  case 'K': cout<<"Kote\n";  break;`
	`  case 'M': cout<<"Mari\n";  break;`
	`  default: cout<<"Gio\n";`
	`}`
		`/* დაიბეჭდება */`
		
		`Aleko`

12	`char c ='K';`
	`switch(c){`
	`  case 'A': cout<<"Aleko\n";  break;`
	`  case 'K': cout<<"Kote\n";`
	`  case 'M': cout<<"Mari\n";`
	`  default: cout<<"Gio\n";`
	`}`
		`/* დაიბეჭდება */`
		
		`Kote`
		`Mari`
		`Gio`

13	`char p;`
	`cin>>p;`
	`switch(p){`
	`  case 'A': case 'O':`
	`  case 'I': case 'E':`
	`  case 'U': cout<<"Xmovani asoa\n"; break;`
	`  default: cout<<"Ar aris xmovani aso\n";`
	`}`
		`/* შეტანა */`
		
		`B`
		`/* გამოტანა */`
		
		`Ar aris xmovani aso`

14	`int a, b =2, c;`
	` cin>>a;`
	` switch( b+a ){`
	`  case 6: c =3;  break;`
	`  case 12: c =2*a-1;  break;`
	`  default: c =a-b;`
	` }`
	` cout<<"c = "<<c<<'\n';`
		`//შეტანა  //გამოტანა`
		`4  c =3`
		
		`10  c =19`
		
		`120  c =118`

საუდიტორიო სამუშაო:

1. ჰერონის ფორმულის მეშვეობით გამოთვალეთ სამკუთხედის ფართობი, თუ მოცემულია სამკუთხედის a, b და c გვერდები. ჰერონის ფორმულის თანახმად,

$$S=\sqrt{p(p-a)(p-b)(p-c)},\quad \text{სადაც}\quad p=(a+b+c)/2.$$

```
#include <iostream>
#include <cmath>
using namespace std;
int main(){
   double a, b, c, p, s;
   cout<<"SemoitaneT a, b, c gverdebis sidideebi :\n";
   cin>>a>>b>>c;
   //თუ ეს გვერდები ქმნიან სამკუთხედს, მაშინ ვისარგებლოთ ჰერონის ფორმულით
   if( a< b+c && b< a+c && c< a+b )
   {
      p =(a+b+c)/2;
      s =sqrt(p*(p-a)*(p-b)*(p-c));
      cout<<"partobi = "<<s<<endl;
   }
   else
   cout<<"aseTi gverdebis mqone samkuTxedi ar arsebobs\n";
   system("pause");
   return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
SemoitaneT a, b, c gverdebis sidideebi :
3 4 5
partobi = 6
Press any key to continue . . .
```

2. იპოვეთ და დაბეჭდეთ u ცვლადის მნიშვნელობა, თუ x და y – მთელი რიცხვებია და:

$$u=\begin{cases} x+y, & \text{თუ } |x-y|=3;\\ 2(x+y), & \text{თუ } |x-y|=6;\\ y-3x, & \text{თუ } |x-y|=7;\\ 10, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში} \end{cases}$$

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  int u, x, y;
  cout<<"x = ";
  cin>>x;
  cout<<"y = ";
  cin>>y;
  if(abs(x - y) == 3) u =x + y;
  else if(abs(x - y) == 6) u = 2*(x + y);
       else if(abs(x - y) == 7) u = y - 3*x;
            else u = 10;
  cout<<"u = "<<u<<endl;
  system("pause");
```

```
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
x = 3
y = 5
u = 10
Press any key to continue . . .
```

3. იგივე ამოცანა გავაკეთოთ **switch** შეტყობინების გამოყენებით:

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  int u, x, y;
  cout<<"x = ";
  cin>>x;
  cout<<"y = ";
  cin>>y;
  switch( abs(x - y) ){
     case 3: u =x + y; break;
     case 6: u = 2*(x + y); break;
     case 7: u = y - 3*x; break;
     default: u = 10;
  }
  cout<<"u = "<<u<<endl;
  system("pause");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
x = -7
y = -4
u = -11
Press any key to continue . . .
```

4. დაწერეთ პროგრამა, რომელიც კლავიატურიდან შეტანილი სიმბოლო-ციფრისთვის გაარკვევს და დაბეჭდავს წარმოადგენს იგი კენტ ციფრს, თუ ლუწს.

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  char cifri;
  cout<<"shemoitaneT simbolo - cifri\n";
  cin>>cifri;
  switch(cifri){
     case '0': case '2':
     case '4': case '6':
     case '8':
          cout<<cifri<<" aris luwi\n"; break;
     case '1': case '3':
     case '5': case '7':
     case '9':
          cout<<cifri<<" aris kenti\n"; break;
     default:
          cout<<cifri<<" ar aris cifri.\n"
                      "Scade Tavidan!\n";
  }
```

```
    system("pause");
    return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
shemoitaneT simbolo - cifri
7
7 aris kenti
Press any key to continue . . .
```

5. კლავიატურიდან შეიტანეთ სტუდენტის შეფასება, რომელიც მან მიიღო გამოცდაზე (A, B, C, D, E). დაბეჭდეთ ქულების შესაბამისი დიაპაზონი.

```
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
    char shefaseba;
    cin>>shefaseba;
    switch(shefaseba)
    {   case 'A': cout<<"91 - 100\n"; break;
        case 'B': cout<<"81 - 90\n"; break;
        case 'C': cout<<"71 - 80\n"; break;
        case 'D': cout<<"61 - 70\n"; break;
        case 'E': cout<<"51 - 60\n"; break;
        default: cout<<"ver chaabareT\n";
    }
   system("pause");
   return 0;
}
```

პროგრამა შესრულების შედეგებია:

```
A
91 - 100
Press any key to continue . . .
```

```
F
ver chaabareT
Press any key to continue . . .
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. შეადგინეთ პროგრამა, რომელიც გამოითვლის და დაბეჭდავს მანძილს 0X ღერძის ორ A და B წერტილს შორის.

2. შეადგინეთ პროგრამა, რომელიც გამოითვლის და დაბეჭდავს მანძილს სიბრტყის ორ A(-1.5,2.0) და B(1,-2.5) წერტილს შორის. $A(x_1,y_1)$ და $B(x_2,y_2)$ წერტილებს შორის მანძილი განისაზღვრება ფორმულით

$$d=\sqrt{(x_2-x_1)^2+(y_2-y_1)^2}\ .$$

3. შეადგინეთ პროგრამა, რომელიც გამოითვლის და დაბეჭდავს მანძილს სივრცის ორ — A(-1.5,2.0,1.2) და B(1,-2.5,0.5) წერტილს შორის.

$$d=\sqrt{(x_2-x_1)^2+(y_2-y_1)^2+(z_2-z_1)^2}\ .$$

4*. ჰერონის ფორმულის მეშვეობით გამოთვალეთ სამკუთხედის ფართობი, თუ მოცემულია სამკუთხედის წვეროების კოორდინატები.

5. გამოთვალეთ $2x^5+3x^3-7$-ის მნიშვნელობა, თუ $x=2.1$.

6. დაწერეთ პროგრამა, რომელიც შეამოწმებს, არის თუ არა მოცემული n წელი ნაკიანი. წელიწადს ეწოდება ნაკიანი, თუ მისი გამომსახველი რიცხვი 4-ის ჯერადია, მაგრამ 100-ის

ჯერადი წლებიდან ნაკიანია მხოლოდ 400-ის ჯერადები. მაგალითად, 1700, 1800 და 1900 – არაა ნაკიანი წლები, ხოლო 2000 – ნაკიანი წელია. n წელიწადის ნაკიანობას შეგამოწმებთ შემდეგი პირობით:

```
n%4 == 0 && n%100 != 0 || n%400 == 0
```

7. რას დაბეჭდავს პროგრამის ფრაგმენტი,

```
int n, m;
cin>>n;
switch(n){
   case 1: m =n+1; cout<<"m = "<<m; break;
   case 2: m =3*n; cout<<"m = "<<m; break;
   default: m =n; cout<<"m = "<<m; break;
}
```

თუ შეიტანთ n -ის შემდეგ მნიშვნელობებს: ა) 1; ბ) 2; გ) 3.

8*. დაწერეთ პროგრამა, რომელიც დაითვლის და დაბეჭდავს კორექტულ შედეგს, თუ შეიტანთ ორ მთელ რიცხვს და შემდეგ არითმეტიკული მოქმედების ბინარულ ოპერატორს (`'+'`, `'-'`, `'*'` ან `'/'`).

ლაბორატორიული მეცადინეობა № 4

ლაბორატორიული სამუშაოს ამოცანა:

- ჩადგმული **if - else**
- **switch** ოპერატორის გამოყენება

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1. კვადრატული განტოლების ამოხსნა.

```
//////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: კვადრატული განტოლების
//            ამოხსნა
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <cmath>
using namespace std;
int main()
{
   double a,b,c,d,x1,x2;
   cout<<"SeitaneT gantolebis a, b da c koeficientebi\n";
   cin>>a>>b>>c;
   d =b*b-4*a*c;
   if(d < 0)
     cout<<"\ngantolebas namdvili amonaxsni ar gaaCnia\n";
   else if(d == 0)
        {
          x1 =-b/(2*a);
          cout<<"\ngantolebis amonaxsnebia:  "
                "x1 = x2 = "<<x1<<'\n';
        }
        else
        {
          x1 =(-b-sqrt(d))/(2*a);
          x2 =(-b+sqrt(d))/(2*a);
          cout<<"\ngantolebis amonaxsnebia:  "
              "x1 = "<<x1<<'\t'<<"x2 = "<<x2<<'\n';
        }
     system("pause");
     return 0;
}
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა შემდეგი მონაცემებისთვის: 1) a =1, b =4, c =4; 2) a =1, b =5, c =6; 3) a =1, b =2, c =9.

ბ) შეიძლება თუ არა ამ ამოცანაში გამოვიყენოთ **switch** ოპერატორი?

გ) პროგრამა იმუშავებს სწორად, თუ შეიტანთ ნულისაგან განსხვავებულ a –ს. შეასრულეთ პროგრამა მონაცემებისთვის a =0, b =2, c =3; და ახსენით მიღებული შედეგი. როგორ გადაწერეთ პროგრამა, რომ მან კორექტულად იმუშავოს a =0 შემთხვევაშიც?

ამოცანა 2. დაწერეთ პროგრამა, რომელიც კლავიატურიდან შეტანილ პატარა ასოსთვის გაარკვევს ხმოვანია იგი თუ თანხმოვანი და დაბეჭდავს შესაბამის დასკვნას.

```
//////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: ხმოვანი თუ თანხმოვანი?
//////////////////////////////////////
```

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  char aso;
  cout<<"shemoitaneT patara aso\n";
  cin>>aso;
  switch(aso){
     case 'a': case 'o':
     case 'i': case 'e':
     case 'u': cout<<aso<<" aris xmovani\n"; break;
     default: cout<<aso<<" aris Tanxmovani\n";
  }
  system("pause");
  return 0;
}
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა სხვადასხვა პატარა ასოებისთვის და დარწმუნდით მის სისწორეში

ბ) რა მოხდება, თუ კლავიატურიდან პატარა ასოს ნაცვლად შეიტანთ სხვა სიმბოლოს? როგორ გავასწოროთ პროგრამის კოდი, რომ ამ შემთხვევაში პროგრამამ დაგვიბეჭდოს სათანადო გზავნილი? **მითითება:** პროგრამის ტექსტში **switch** ოპერატორამდე ჩაამატეთ შემდეგი ფრაგმენტი

```
if(aso < 'a' || aso > 'z')
   cout<<aso<<" ar aris patara aso.\n"
             "Try again!\n";
else
```

კვლავ შეასრულეთ პროგრამა ნებისმიერი სიმბოლოსთვის და დარწმუნდით, რომ იგი ყოველთვის იმუშავებს კორექტულად.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. გაარჩიეთ ვალუტის გაცვლის პროგრამა, რომელსაც ლარებში შემოტანილი თანხის სიდიდე გადაჰყავს მოთხოვნის შესაბამისად დოლარში (D), ევროში (E) ან ინგლისურ ფუნტში (P).

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  double amount, convert;
  char letter;
  cout<<"Enter amount in GEL : ";
  cin>>amount;
  cout<<"Enter the first letter of currency\n"
        "you wish to convert to (D, E or P): ";
  cin>>letter;
  switch(letter){
     case 'D': convert = amount*0.588408;
               cout<<amount<<" GEL == "<<convert<<" USD\n";
               break;
     case 'E': convert = amount*0.413449;
               cout<<amount<<" GEL == "<<convert<<" EUR\n";
               break;
     case 'P': convert = amount*0.365252;
               cout<<amount<<" GEL == "<<convert<<" GBP\n";
               break;
  }
  system("pause");
  return 0;
```

```
}
```

2. გაარჩიეთ პროგრამა, რომელსაც მოთხოვნის შესაბამისად გადაჰყავს სანტიმეტრები (c) დიუმებში (i) ან პირიქით.

```
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
   // number of centimeters in an inch
   const double cm_per_inch = 2.54;
   int length; // length in inches or centimeters
   char unit;
   cout<<"Please enter a length followed by a letter (c or i):\n";
   cin>>length>>unit;
   switch (unit) {
     case 'i' :
         cout<<length<<" in == "<<cm_per_inch*length<<" cm\n";
         break;
     case 'c' :
         cout<<length<<" cm == "<<length/cm_per_inch<<" in\n";
         break;
     default:
         cout<<"Sorry, I don't know a unit called '"<<unit<<"'\n";
         break;
   }
   system("pause");
   return 0;
}
```

3. გაარჩიეთ პროგრამა, რომელიც "ხსნის" გადასასვლელზე ქცევის წესებს შუქნიშნის ჩართული ფერის მიხედვით (შემოიტანეთ Yellow, Green ან Red).

```
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
int main()
{
  string Traffic_light_color;
  cout<<"What color of a traffic light is included? ";
  cin>>Traffic_light_color;
  switch (Traffic_light_color[0]){
       case 'Y': cout<<"Be ready !\n"; break;
       case 'G': cout<<"Go !\n"; break;
       case 'R': cout<<"Stop !\n";
  }
  system("pause");
  return 0;
}
```

4. გაარჩიეთ პროგრამა, რომელიც თვის ნომრის მიხედვით ბეჭდავს თუ წელიწადის რომელ დროს ეკუთვნის მოცემული თვე.

```
#include <iostream>
using namespace std;
int main()
{
  int month_number;
  cout<<"Enter month's number ";
```

```
  cin>>month_number;
  switch(month_number){
    case 12:
    case 1:
    case 2: cout<<"Winter\n"; break;
    case 3:
    case 4:
    case 5: cout<<"Spring\n"; break;
    case 6:
    case 7:
    case 8: cout<<"Summer\n"; break;
    default: cout<<"Autumn\n";
  }
  system("PAUSE");
  return 0;
}
```

5. **switch** შეტყობინების გამოყენებით გამოთვალეთ მთელი d ცვლადის მნიშვნელობა, თუ

$$d=\begin{cases} a\%b+10, & a-c=3;\\ a+b-b/4, & a-c=6;\\ a-b+2c, & a-c=9. \end{cases}$$

a, b და c მთელი რიცხვები შეიტანეთ კლავიატურიდან. შეამოწმეთ თქვენი პროგრამის მუშაობა შემდეგი სანწყისი მონაცემებისათვის:
1). a =2, b =3, c =5; 2). a =2, b =2, c =3; 3). a =2, b =1, c =4.

6. **switch** შეტყობინების გამოყენებით გამოთვალეთ u ცვლადის მნიშვნელობა, თუ

$$u=\begin{cases} 3x-y, & x+2y=1;\\ y-x, & x+2y=2;\\ x+y, & x+2y=3. \end{cases}$$

თუ კი $x+2y$ არ უდრის არც 1-ს, არც 2-ს და არც 3-ს, მაშინ u-ს მივანიჭოთ $x-y$-ის მნიშვნელობა. x და y რიცხვები შეიტანეთ კლავიატურიდან.

პრაქტიკული მეცადინეობა № 5

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- **while** შეტყობინება
- ვექტორის (vector) template-სპეციალიზაციები სხვადასხვა ტიპისთვის

მოსალა დამოუკიდებლად გასაკნობისათვის:

1. მაგალითები **while** შეტყობინების გამოყენებაზე:

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`int counter =0;`
	`while (counter < 3){`
	`  cout<<"Hello, Students!\n";`
	`  counter++;`
	`}`
		`Hello, Students!`
		`Hello, Students!`
		`Hello, Students!`

2	`int number =1;`
	`while (number <= 3){`
	`  cout<<"number = "<<number<<endl;`
	`  number++;`
	`}`
		`number =1`
		`number =2`
		`number =3`

3	`char aso ='F';`
	`while (aso >= 'A'){`
	`  cout<<aso<<' ';`
	`  aso--;`
	`}`
		`F E D C B A`

4	`while ( true )` `  cout<<"usasrulo ganmeoreba\n";`	`//პირობა ყოველთვის ჭეშმარიტია:` `//პროცესი არ დასრულდება`

5	`int n =7;`
	`while ( true ){`
	`  cout<<"n = "<<n<<endl;`
	`  n--;`
	`  if(n == 4) break;`
	`}`
		`n =7`
		`n =6`
		`n =5`

6	`int n =2;`
	`while (n <= 6){`
	`  cout<<"n = "<<n<<endl;`
	`  n +=2;`
	`}`
		`n =2`
		`n =4`
		`n =6`

7	`int n =2;`
	`while ( true ){`
	`  cout<<"n = "<<n<<endl;`
	`  if(n == 6) break;`
	`  n +=2;`
	`}`
		`n =2`
		`n =4`
		`n =6`

8	`int counter =1;`
	`double x =1.2;`
	`while ( true ){`
	`  cout<<x<<endl;`
	`  x +=0.1;`
	`  if(counter == 5) break;`
	`  counter ++;`
	`}`
		`1.2`
		`1.3`
		`1.4`
		`1.5`
		`1.6`

9	`while ( false )`
	`  cout<<"Sesruldeba?\n";`
	`cout<<"ar Sesrulda\n";`
		`ar Sesrulda`
		`// პირობა თავიდანვე მცდარია:`
		`//შეტყობინება არ შესრულდება`

2. მაგალითები **vector** –ის სხვადასხვა სპეციალიზაციის გამოყენებაზე:

№	პროგრამის ტრაგმენტი	შედეგი
1	cout<<"test #1 of vector"<<endl; vector<int> vect1; cout<<"size of vect1 : "<<vect1.size()<<endl;	//ცარიელი ვექტორი test #1 of vector size of vect1 : 0

2	cout<<"test #2 of vector"<<endl;
	vector<int> vector1;
	//ორ ელემენტს ვამატებთ ვექტორში
	vector1.push_back(7777);
	vector1.push_back(2345);
	cout<<"first element is :"<<vector1[0]<<endl;
	cout<<"second element is :"<<vector1[1]<<endl;
		test #2 of vector
		first element :7777
		second element :2345

3	cout<<"test #3 of vector"<<endl;
	vector<int> vector1(3);
	cout<<"vector1.size()="<<vector1.size()<<endl;
	cout<<"first element is:"<<vector1[0] <<endl;
	cout<<"second element is:"<<vector1[1]<<endl;
	cout<<"3-th element is:"<<vector1[2]<<endl;
	cout<<"4-rd element is:"<<vector1[3]<<endl;
		//სამი ელემენტის ადგილი
		//იკავშნება და იწყება
		// ნულებით
		test #3 of vector
		vector1.size()=3
		first element is:0
		second element is:0
		3-th element is:0
		//Debug Assetion
		// Failed!
		//Expression: vector
		// subscript out of
		// range

4	cout<<"test #4 of vector"<<endl;
	vector<double> vector1(2);
	vector1[0] = 11.11;
	vector1[1] = 22.22;
	cout<<"first element:"<<vector1[0] <<endl;
	cout<<"second element:"<<vector1[1]<<endl;
		test #4 of vector
		first element:11.11
		second element:22.22

5	cout<<"test #5 of vector"<<endl;
	vector<double> vector1(2);
	vector1[0] = 11.1;
	vector1[1] = 22.2;
	vector1.push_back(77.77);
	vector1.push_back(23.45);
	cout<<"vector1[0]="<<vector1[0] <<endl;
	cout<<"vector1[1]="<<vector1[1]<<endl;
	cout<<"vector1[2]="<<vector1[2]<<endl;
	cout<<"vector1[3]="<<vector1[3]<<endl;
		test #5 of vector
		vector1[0]=11.1
		vector1[1]=22.2
		vector1[2]=77.77
		vector1[3]=23.45

6	cout<<"test #6 of vector"<<endl;
	string str;
	vector<string> a(2);
	a[0] = "Good ";
	a[1] = "By";
	str = a[0]+' '+a[1];
	cout<<str<<endl;
		test #6 of vector
		Good By

7	cout<<"test #6 of vector"<<endl;
	string str;
	vector<string> vctr;
	vctr.push_back("Good");
	vctr.push_back("By!");
	str = vctr[0]+' '+vctr[1];
	cout<<str<<endl;
		test #6 of vector
		Good By!

საუდიტორიო სამუშაო:

1. კლავიატურიდან შეიტანეთ 5 მთელი რიცხვი და ჩაწერეთ ვექტორში. შემდეგ დაბეჭდეთ ვექტორის ელემენტები ინდექსების ჩვენებით:

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int main(){
  vector<int> a;
  int number, index = 0;
  while(index < 5){
     cin>> number;
     a.push_back(number);
     index++;
  }
  index = 0;
  while(index < a.size()){
     cout<<"a[ "<<index<<" ] = "<<a[index]<<endl;
     index++;
  }
  //system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
1 2 3 4 5
a[ 0 ] = 1
a[ 1 ] = 2
a[ 2 ] = 3
a[ 3 ] = 4
a[ 4 ] = 5
Press any key to continue . . .
```

2. კლავიატურიდან შეიტანეთ 10 ნამდვილი რიცხვი (შეტანა დაამთავრეთ სიმბოლოს აკრეფით) და ჩაწერეთ ვექტორში. შემდეგ იპოვეთ ამ რიცხვების ჯამი და დაბეჭდეთ.

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int main(){
  vector<double> v;
  double x;
  while(cin>>x)
     v.push_back(x);
  double sum =0;
  int i = 0;
  while(i < v.size()){
     sum += v[i];
     i++;
  }
  cout<<"jami = "<<sum<<endl;
  //system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
1.2 0.3 12.25 -11.25 3.0 20.5 -10 -5.5 0 2.125 |
jami = 12.625
Press any key to continue . . .
```

3. დაწერეთ პროგრამა, რომელიც კლავიატურიდან შემოტანილ მთელ რიცხვებს შორის იპოვის და დაბეჭდავს უდიდესს.

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <algorithm>
using namespace std;
int main(){
  vector<int> v;
  int number;
  while(cin>>number)
     v.push_back(number);
  sort(v.begin(), v.end());
  cout<<"udidesi = "<<v[v.size()-1]<<endl;
  //system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
9 14 0 -3 27 -15 8 9 25 *
udidesi = 27
Press any key to continue . . .
```

4. კლავიატურიდან შემოიტანეთ წინადადება, რომელშიც სიტყვები გამოყოფილია ჰარით. შეტანა დაამთავრეთ ახალ სტრიქონზე Ctrl+z კლავიშების კომბინაციის აკრეფით. დაბეჭდეთ სიტყვების რაოდენობა და ყველა განსხვავებული სიტყვა.

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <algorithm>
#include <string>
using namespace std;
int main(){
  vector<string> sentence;
  string word;
  while(cin>>word)
     sentence.push_back(word);
  cout<<"Number of words = "<<sentence.size()<<endl;
  sort(sentence.begin(), sentence.end());
  cout<<sentence[0]<<endl;
  int i =1;
  while(i < sentence.size()){
     if(sentence[i-1] != sentence[i])
       cout<<sentence[i]<<endl;
     ++i;
  }
  //system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
a plan a map a dog
^Z
Number of words = 6
a
dog
map
plan
Press any key to continue . . .
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. რას დაბეჭდავს შემდეგი ფრაგმენტი? ახსენით და შემდეგ შეამოწმეთ კომპიუტერზე:

№	პროგრამის ფრაგმენტი

1	`int k =1; char p ='A';`
	`  while( k < 4 ){`
	`  cout<<p++<<endl;`
	`  ++k;`
	`  }`

2	`int x =5;`
	`  while ( -25 || 0 ){`
	`  cout<<"ar dasruldeba\n";`
	`  x++;`
	`  }`

3	`int x =5;`
	`  while ( 10-10 && x > 7 ) {`
	`  cout<<"ar shesruldeba\n";`
	`  x++;`
	`  }`

4	`int n =7, s =30;`
	`  while ( true ){`
	`  s -=n;`
	`  n--;`
	`  if(n == 4) break;`
	`  }`
	`cout<<"s = "<<s<<endl;`

5	`int n =2, p =1;`
	`  while( n <= 7 ){`
	`  ++n;`
	`  if( n%2 == 0) continue;`
	`  p *=n;`
	`  }`
	`  cout<<"p ="<<p<<endl;`

2. გაარჩიეთ პროგრამა, რომელიც "temperature.in" ფაილიდან შემოტანილ საშუალო თვიური ტემპერატურის 12 მაჩვენებლის (თვეების) მიხედვით ბეჭდავს წელიწადის საშუალო ტემპერატურას.

```
#include <iostream>
#include <fstream>
using namespace std;
int main(){
  double temps, S =0;
  ifstream fin ("temperature.in");
  while( fin >> temps )
     S += temps;
  cout << "sashualo temperatura = "<< S/12 <<endl;
  //system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

temperature.in ფაილი	გამოსატანი ეკრანი
12.5 15 14.5 16 18 25.5 35 32.5 34.5 28 20 17	sashualo temperatura = 22.375 Press any key to continue . . .

3. გაარჩიეთ პროგრამა, რომელიც კლავიატურიდან შემოტანილ სტრიქონში ითვლის ასო 'a'-ს რაოდენობას.

```
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
int main(){
  string Str;
  int counter =0, i =0;
  getline(cin, Str);
  while(i < Str.size()){
     if( Str[i] == 'a' )
       counter++;
     ++i;
  }
  cout<< "striqonSi aris " << counter
      << " aso 'a' "<< endl;
  //system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
a man a cat a dog
striqonSi aris 5 aso 'a'
Press any key to continue . . .
```

დავალება:

ა). შეასრულეთ პროგრამა სხვადასხვა სტრიქონისთვის და დარწმუნდით მიღებული შედეგების სისწორეში;

ბ). პროგრამის `getline(cin, Str);` შეტყობინება შეცვალეთ `cin >> Str;` – ით და ისევ შეასრულეთ პროგრამა. შეგექმნათ პრობლემა?

დაიმახსოვრეთ: თუ სტრიქონი შედგება რამოდენიმე სიტყვისაგან (ანუ შეიცავს სიტყვების გამყოფებს – ჰარის ან/და ტაბულაციის – სიმბოლოებს) კლავიატურიდან მის შესატანად გამოიყენება ფუნქცია `getline` ფორმატით `getline(cin, <სტრიქონის სახელი>)`, რადგან `cin >> <სტრიქონის სახელი>` -ის შემთხვევაში წაიკითხება მხოლოდ პირველი სიტყვა (პირველივე გამყოფ სიმბოლომდე).

4. კლავიატურიდან შეიტანეთ მთელი რიცხვები, ჩაწერეთ სათანადო ვექტორში და შემდეგ დაბეჭდეთ მათი ჯამის მეოთხედი.

5. კლავიატურიდან შეიტანეთ მთელი რიცხვები, ჩაწერეთ სათანადო ვექტორში და შემდეგ დაბეჭდეთ მათი საშუალო არითმეტიკული.

6. კლავიატურიდან შეიტანეთ სიმბოლოთა მიმდევრობა, ჩაწერეთ სათანადო ვექტორში და შემდეგ დაბეჭდეთ შეტანილი სიმბოლოების რაოდენობა.

7. კლავიატურიდან შეიტანეთ 12 მთელი რიცხვი და დაბეჭდეთ მათი საშუალო არითმეტიკული.

8*. კლავიატურიდან შეიტანეთ ტექსტი – წერტილით დამთავრებული რამოდენიმე წინადადება, პირველ წინადადებაში დაადგინეთ: 'a' სიმბოლო გვხვდება მეტად თუ 'b'.

9. კლავიატურიდან შეიტანეთ რიცხვების რაოდენობა – m, შემდეგ m ცალი მთელი რიცხვი და დაბეჭდეთ მათი ნამრავლი.

10. კლავიატურიდან შეიტანეთ მთელი რიცხვი m, შემდეგ დაბეჭდეთ m რიცხვის ფაქტორიალი. რა სახის პრობლემა შეიძლება შეგექმნათ?

ლაბორატორიული მეცადინეობა № 5

ლაბორატორიული სამუშაოს ამოწერა:

- ფაილიდან რიცხვების, სტრიქონების და სიმბოლოების წაკითხვა
- პროგრამის შედეგის ფაილში გამოტანა

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1. `data.txt` ფაილი შეიცავს 3 სიმბოლოს. დაბეჭდეთ ეს სიმბოლოები `output.txt` ფაილში შებრუნებული რიგით.

მითითება:

- შექმენით პროექტი სახელით `lp 5.1`, დაამატეთ მასში `5-1.cpp` ფაილი, რომელშიც აკრიფეთ პროგრამა.
- დაამატეთ პროექტში ტექსტური ფაილი `data.txt` შემდეგი გზით: `Project -> Add New Item -> Text File(.txt);` `Name` ველში ჩაწერეთ ფაილის სახელი `data` (გაფართოების გარეშე) და დააჭირეთ `Add` ღილაკს (ან `Enter`-ს).
- ჩაწერეთ `data.txt` ფაილში 3 სიმბოლო.

შესაბამის პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: ფაილიდან სიმბოლოების წაკითხვა და
//            სხვა ფაილში შებრუნებული რიგით ჩაწერა
//////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <fstream>
using namespace std;
int main(){
   char a, b, c;
   ifstream ifs("data.txt");
   ifs>>a>>b>>c;
   ofstream ofs("output.txt");
   ofs<<c<<' '<<b<<' '<<a;
   return 0;
}
```

პროგრამის გაშვების შემდეგ `lp 5.1` პროექტის შიგა `lp 5.1` საქაღალდეში ავტომატურად შეიქმნება `output.txt` ფაილი. გახსენით იგი (მაგალითად, `File -> Open -> File` და გახსენით `output.txt` ფაილი), გააანალიზეთ პროგრამის მუშაობის შედეგი. მაგალითად,

ფაილი `data.txt`	ფაილი `output.txt`
XYO	O Y X

მითითება: ერთდროულად გახსნილი რამოდენიმე ფაილის შემთხვევაში `CTRL+F6` კლავიშების კომბინაცია ახორციელებს გადართვას მათ შორის.

ამოცანა 2. `monacemebi.in` ფაილში ჩაწერილია 3 მთელი რიცხვი. `pasuxi.out` ფაილში დაბეჭდეთ ამ რიცხვების საშუალო არითმეტიკული.

შესაბამის პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: ფაილიდან წაკითხული მთელი რიცხვების
//        საშუალო არითმეტიკულის სხვა ფაილში ბეჭდვა
//////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
```

```
#include <fstream>
using namespace std;
int main(){
   int a, b, c;
   double average;
   ifstream fin( "monacemebi.in" );
   fin>>a>>b>>c;
   average =(a+b+c)/3.;
   ofstream fout( "pasuxi.out" );
   fout<<a<<' '<<b<<' '<<c
       <<" ricxvebis sashualo ariTmetikuli = "
       <<average;
   return 0;
}
```

შეასრულეთ პროგრამა რამდენიმეჯერ რიცხვთა სხვადასხვა სამეულებისათვის. შეამოწმეთ pasuxi.out ფაილში მიღებული შედეგები.

ამოცანა 3. input.in ფაილის პირველ სტრიქონში ჩაწერილია სტუდენტის გვარი, მეორეში კი – მისი სახელი. output.out ფაილის პირველ სტრიქონში ჩაწერეთ ამ სტუდენტის სახელი, მეორეში კი გვარი.

შესაბამის პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////
// ავტორი:
// პროგრამა: ფაილიდან წაკითხული სტრიქონების
//        შებრუნებული რიგით სხვა ფაილში ბეჭდვა
//////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <fstream>
#include <string>
using namespace std;
int main(){
   string saxeli, gvari;
   ifstream fin("input.in");
   ofstream fout("output.out");
   fin>> gvari >> saxeli;
   fout<< saxeli << endl << gvari;
   fin.close();
   fout.close();
   return 0;
}
```

დავალება: გაარკვიეთ რა მოხდება, თუ input.in ფაილში გვარი და სახელი ჩაწერილია ერთ სტრიქონში, გამოყოფილია ჰარით და გვინდა დავბეჭდოთ გვარი და სახელი output.out ფაილში შებრუნებული რიგით: ა). ერთ სტრიქონად; ბ) ორ სტრიქონად.

ამოცანა 4. ricxvebi.txt ფაილში ჩაწერილია 3 მთელი რიცხვი. shedegi.txt ფაილში გადაიტანეთ მხოლოდ ის რიცხვები, რომლებიც ეკუთვნის [10,30] შუალედს.

შესაბამის პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: ფაილის სტრიქონებში მოცემული რიცხვებიდან
//       [10,30] შუალედში მოთავსებული რიცხვების სხვა ფაილში ბეჭდვა
//////////////////////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <fstream>
using namespace std;
```

```
int main(){
   int ricxvi;
   ifstream fin( "ricxvebi.txt" );
   ofstream fout( "shedegi.txt" );
   fin >>ricxvi;
   if(ricxvi >=10 && ricxvi <=30) fout<<ricxvi<<endl;
   fin >>ricxvi;
   if(ricxvi >=10 && ricxvi <=30) fout<<ricxvi<<endl;
   fin >>ricxvi;
   if(ricxvi >=10 && ricxvi <=30) fout<<ricxvi<<endl;
   fin.close();
   fout.close();
   return 0;
}
```

დავალება:

1. შეასრულეთ პროგრამა და გააანალიზეთ shedegi.txt ფაილი.
2. გადაწერეთ პროგრამა განმეორების შეტყობინების გამოყენებით, შეასრულეთ იგი და გააანალიზეთ შედეგი. **მითითება:** პროგრამაში 3 –ჯერ გამეორებული შეტყობინებები

```
fin >>ricxvi;
if(ricxvi >=10 && ricxvi <=30) fout<<ricxvi<<endl;
```

შეცვალეთ შემდეგი ფრაგმენტით:

```
int mTvleli = 1;
while( mTvleli <= 3 ){
   fin >>ricxvi;
   if(ricxvi >=10 && ricxvi <=30) fout<<ricxvi<<endl;
   mTvleli++;
 }
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. მოცემული ფაილი შეიცავს 3 სიმბოლოს. დაადგინეთ სიმბოლოთა შორის უმცირესი და დაბეჭდეთ ეს სიმბოლო და მისი კოდი სხვა ფაილში.
2. მოცემული ფაილი შედგება 2 სტრიქონისგან. თითოეულში ჩაწერილია მთელი რიცხვი. მეორე ფაილში ჩაწერეთ ამ რიცხვების
   ა) ჯამი; ბ) ნამრავლი;
   გ) საშუალო გეომეტრიული.
   მითითება: $a_1, a_2, \ldots, a_n$ რიცხვების საშუალო გეომეტრიული გამოითვლება შემდეგი ფორმულით: საშუალო გეომეტრიული $= \sqrt[n]{a_1 \cdot a_2 \cdot \ldots \cdot a_n}$.
3. მოცემული ფაილი შეიცავს სტრიქონს. მეორე ფაილში ჩაწერეთ ამ სტრიქონის სიგრძის მნიშვნელობა.
4. ერთ ფაილში, სახელად weight.in წერია სამი სახის პროდუქტის წონა. მეორე ფაილში, სახელად price.in წერია ამ პროდუქტების ფასები. მესამე ფაილში გამოიტანეთ მოცემული რაოდენობის პროდუქტების შეძენაზე დახარჯული თანხის ოდენობა.

გაარჩიეთ და გააანალიზეთ შესაბამისი C++–პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <fstream>
using namespace std;
int main(){
  double a, b, c =0;
  ifstream ifs1("weight.in");
  ifstream ifs2("price.in");
```

```
  while( ifs1 >> a, ifs2 >> b )
     c += a*b;
  ofstream ofs("answer.out");
  ofs<<c;
  return 0;
}
```

პროგრამის მუშაობის შედეგია:

ფაილი weight.in	ფაილი price.in	ფაილი answer.out
100 50.5 200	3.5 10 7.5	2355

პრაქტიკული მეცადინეობა № 6

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- **for** შეტყობინება
- რამდენიმე მარტივი ფუნქცია
- შემთხვევითი რიცხვების გენერირება
- სხვადასხვა ტიპის ვექტორთან მუშაობა

მასალა დამოუკიდებლად გასაცნობისათვის:

1. მაგალითები **for** შეტყობინების გამოყენებაზე:

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი
1	`for(int i=1; i<4; i++)` `  cout << "i = " << i << endl;`	i =1 i =2 i =3
2	`for(int i=3; i>=2; i--)` `  puts("iswavle C++");`	iswavle C++ iswavle C++
3	`for(char c='K'; c>'D'; --c)` `  cout << c << ' ';`	K J I H G F E
4	`for(int n=5; n<=15; n+=5)` `  cout << "n = " << n << endl;`	n =5 n =10 n =15
5	`for(char p='A'; p<'F'; ++p)` `  cout << p << ' ';`	A B C D E

6	`for(int a=5; a>=2; a--){`
	`  if(a%3 == 0) break;`
	`  cout << "a = " << a << endl;`
	`}`
		a =5
		a =4

7	`for(int a=5; a>=2; a--){`
	`  if(a%3 == 0) continue;`
	`  cout << "a = " << a << endl;`
	`}`
		a =5
		a =4
		a =2

8	`for(int i=1; i<50; i++){`
	`  if (i%7 != 0) continue;`
	`  cout << I << ' ';`
	`}`
		7 14 21 28 35 42 49

9	`for(int i=7; i<50; i+=7)` `  cout << I << ' ';`	7 14 21 28 35 42 49
10	`for(int x=10; x>5; x++)` `  puts("usasrulo ganmeoreba");`	პირობა ყოველთვის ჭეშმარიტია: პროცესი არ დასრულდება

11	`for(int k=5; true; k++){`
	`  if(k%2 == 0) continue;`
	`  cout << "k = " << k << endl;`
	`  if(k == 9) break;`
	`}`
		k =5
		k =7
		k =9

12	`for(int n=5; n<3; n++)` `  cout << "n = " << n << endl;`	პირობა თავიდანვე მცდარია: შეტყობინება არ შესრულდება

2. `time(x)` ფუნქციით სარგებლობისათვის საჭიროა `#include <ctime>` ბრძანების პროგრამაში ჩართვა. `time(NULL)` წარმოადგენს სისტემის მიმდინარე კალენდარულ დროს, გაზომილს წამებში. დროის ათვლა მიმდინარეობს გარკვეული თარიღიდან.

#	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი	გაშვების დრო
1	`cout<<time(NULL)<<endl;`	1319571546	11:39 PM
2	`cout<<time(NULL)<<endl;`	1319571606	11:40 PM
3	`cout<<time(NULL)<<endl;`	1319571906	11:45 PM

3. ფუნქცია `rand()` ახდენს მთელი ფსევდოშემთხვევითი რიცხვის გენერირებას. ყოველი მიმართვისას ფუნქცია აბრუნებს **მთელ** რიცხვს `[0,RAND_MAX]` შუალედიდან. `RAND_MAX`, ჩვეულებრივ, არის `SHRT_MAX –`ის ტოლი.

#	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი
1	`cout<<rand()<<endl;` `cout<<rand()<<endl;` `cout<<rand()<<endl;`	41 18467 6334

2	`/* იგივე ფრაგმენტი შესრულდა 2 საათის შემდეგ */`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
		
		41
		18467
		6334

4. სხვადასხვა ტიპის ვექტორთან მუშაობის მაგალითები:

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`/* ვექტორში ჩავწეროთ სამი რიცხვი და შემდეგ დავბეჭდოთ ვექტორის ელემენტები */`
	`vector<int> v;`
	`v.push_back(23);`
	`v.push_back(-70);`
	`v.push_back(101);`
	`for(int i=0; i<v.size(); i++ )`
	`  cout << v[i]<< endl;`
		23
		-70
		101

2	`/* კლავიატურიდან შევიტანოთ ორი რიცხვი და ჩავწეროთ ვექტორში */`
	`vector<int> a;`
	`int number;`
	`for(int m=1; m<=2; m++ ){`
	`  cin>>number;`
	`  a.push_back(number);`
	`}`
	`cout<<"first element is "<< a[0] <<endl;`
	`cout<<"second element is "<< a[1]<<endl;`
	`cout<<"vector contains "<< a.size()`
	`  <<" elements\n";`
		`// შეტანა`
		10 -100
		
		`// გამოსატანი ეკრანი`
		first element is 10
		second element is -100
		vector contains 2 elements

3	`/* ვექტორში ჩავწეროთ სამი სიტყვა და შემდეგ დავბეჭდოთ ვექტორის ელემენტები შებრუნებული რიგით*/`
	`vector<string> words;`
	`words.push_back("Mariam");`
	`words.push_back("Giorgi");`
	`words.push_back("Elene");`
	`for(int i=words.size()-1; i>=0; i-- )`
	`  cout << words[i] << endl;`
		Elene
		Giorgi
		Mariam

4	/* ვექტორში ჩავწეროთ სამი ნამდვილი რიცხვი, შემდეგ დავითვალოთ და დავბეჭდოთ მათი ჯამი */
	vector<double> reals;
	reals.push_back(2.25);
	reals.push_back(10.75);
	reals.push_back(-5);
	double sum =0;
	for(int k=0; k<reals.size(); ++k)
	sum += reals[k];
	cout << "jami = " << sum << endl;
		jami = 8

5	/* ვექტორში ჩავწეროთ 5 შემთხვევითი რიცხვი და შემდეგ დავბეჭდოთ ვექტორის ელემენტები*/
	vector<int> vec;
	int number;
	for(int count=1; count<=5; count++){
	number =rand();
	vec.push_back(number);
	}
	for(int i=0; i<vec.size(); i++)
	cout << vec[i] << endl;
		41
		18467
		6334
		26500
		19169

საავტორიო სამუშაო:

1. ვექტორში ჩავწეროთ პირველი 10 ნატურალური რიცხვის კვადრატი და შემდეგ დავბეჭდოთ ეს ვექტორი.

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int main(){
  vector<int> vec;
  for(int n=1; n<11; n++)
     vec.push_back(n * n);
  for(int i=0; i<vec.size(); i++)
     cout << vec[i] << '\t';
  cout<<endl;
  system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
1       4       9       16      25      36      49      64      81      100
Press any key to continue . . .
```

2. შექმენით ფუნქცია, რომლის პროტოტიპია `int square(int k);` და რომელიც გამოითვლის ნატურალური რიცხვის კვადრატს. გამოიყენეთ ფუნქცია წინა ამოცანის ამოხსნისთვის.

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int square (int );
int main(){
  vector<int> vec;
  for(int n=1; n<11; n++)
     vec.push_back( square (n) );
  for(int i=0; i< vec.size(); i++)
```

```
      cout << vec[i] << '\t';
  cout<<endl;
  system("PAUSE");
  return 0;
}
int square (int k){
   return k * k;
}
```

3. შექმენით კიდევ ერთი ფუნქცია პროტოტიპით `void printVector(vector<int> );` რომელიც დაბეჭდავს ვექტორის ელემენტებს. შემდეგ გამოიყენეთ ეს ფუნქცია წინა ამოცანაში.

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int square (int );
void printVector(vector<int> );
int main(){
  vector<int> vec;
  for(int n=1; n<11; n++)
     vec.push_back( square (n) );
  printVector( vec );
  system("PAUSE");
  return 0;
}
int square (int k){
   return k * k;
}
void printVector(vector<int> x){
   for(int i=0; i< x.size(); i++)
     cout << x[i] << '\t';
   cout << endl;
}
```

4. ჩაწერეთ ვექტორში N შემთხვევითი მთელი რიცხვი და დაბეჭდეთ ვექტორი. შემდეგ დაალაგეთ ვექტორის ელემენტები ზრდადობით და ისევ დაბეჭდეთ ვექტორი. პროგრამაში გამოიყენეთ ადრე შექმნილი ფუნქცია `printVector`.

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <algorithm>
using namespace std;
void printVector(vector<int> );
int main(){
  vector<int> vec;
  int N;
  cout<<"ShemoitaneT ricxvebis raodenoba : ";
  cin>>N;
  for(int count=1; count<=N; count++)
     vec.push_back(rand());
  printVector( vec );
  sort( vec.begin(), vec.end() );
  printVector( vec );
  system("PAUSE");
  return 0;
}
void printVector(vector<int> x){
```

```
    for(int i=0; i<x.size(); i++)
      cout<<x[i]<<"  ";
    cout<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
ShemoitaneT ricxvebis raodenoba : 5
41  18467  6334  26500  19169
41  6334  18467  19169  26500
Press any key to continue . . .
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. გაარჩიეთ პროგრამა, რომელიც ითვლის 310 –იდან 452 –მდე 7–ის ჯერადი რიცხვების ჯამს.

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
    int a;          // მთელი რიცხვი
    int s =0;       // 7–ის ჯერადი რიცხვების ჯამი
    //რიცხვებისთვის 310-დან 452-ის ჩათვლით, ბიჯით 1, სრულდება:
    for(a = 310; a <= 452; a++)
       if( a%7 == 0 ) s += a;  //თუ რიცხვი 7-ის ჯერადია დავამატოთ იგი ჯამს
    cout<<"s = "<<s<<endl;
    system("pause");
    return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
s =7630
Press any key to continue . . .
```

2. ამოცანის პირობაა: შეკრიბეთ შემთხვევითი რიცხვები, ვიდრე ჯამი არ გახდება 10 –ის ჯერადი, ოღონდ ჯამში არ გაითვალისწინოთ 13–ზე დამთავრებული რიცხვები. გაარჩიეთ შესაბამისი C++ –ის პროგრამა.

```
#include <iostream>
using namespace std;
int main (){
    int a;          // შემთხვევითი რიცხვი
    int s =0;       // რიცხვების ჯამი
    while ( true ){
       a =rand();
       if(a%100 == 13)
          continue;
       s +=a;
       if(s%10 == 0)
          break;
    }
    cout<< "s = " << s <<'\n';
    system("PAUSE");
    return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
s =554810
Press any key to continue . . .
```

3. ჩაწერეთ სათანადო ვექტორში კლავიატურიდან შემოტანილი 5 სიტყვა და შემდეგ დაბეჭდეთ ვექტორის ელემენტები. ვექტორის ელემენტების დასაბეჭდათ შექმენით და გამოიყენეთ ფუნქცია პროტოტიპით **void** printWords(vector<string>);

```
#include <iostream>
#include <string>
#include <vector>
using namespace std;
void printWords(vector<string> );
int main(){
  vector<string> W;
  string word;
  for(int count=1; count<=5; count++){
     cin>>word;
     W.push_back(word);
  }
  printWords(W);
  system("PAUSE");
  return 0;
}
void printWords(vector<string> a){
   for(int i=0; i<a.size(); i++ )
      cout<<a[i]<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
Tbilisi Batumi KuTaisi Gori Telavi
Tbilisi
Batumi
KuTaisi
Gori
Telavi
Press any key to continue . . .
```

4. რას დაბეჭდავს შემდეგი ფრაგმენტი? ახსენით და შემდეგ შეამოწმეთ კომპიუტერზე:

№	პროგრამის ფრაგმენტი

1	`int k; char p;`
	`for(k=1, p='A'; k<9; ++k)`
	`  cout << p++ << endl;`

2	`int x;`
	`for(x=10; -10 || 0; x++)`
	`  puts("ar dasruldeba");`

3	`int x;`
	`for(x=10; x>3 && 5-5; x++)`
	`  puts("ar shesruldeba");`

4	`int s =30;`
	`for(int n =7; true; --n){`
	`  s -=n;`
	`  if(n == 4) break;`
	`}`
	`cout << "s = " << s << endl;`

5	`int n =5, p =1;`
	`for(  ; n<=11;  n++){`
	`  if( n%2 == 0) continue;`
	`  p *=n;`
	`}`
	`cout << "p = " << p << endl;`

5. კლავიატურიდან შევიტანოთ მთელი რიცხვები, ჩავწეროთ სათანადო ტიპის ვექტორში და შემდეგ დავბეჭდოთ მათი ჯამის მეოთხედი.

6. კლავიატურიდან შევიტანოთ მთელი რიცხვები, ჩავწეროთ სათანადო ტიპის ვექტორში და შემდეგ დავბეჭდოთ მათი საშუალო არითმეტიკული.

7. კლავიატურიდან შეიტანეთ სიმბოლოთა მიმდევრობა, ჩაწერეთ სათანადო ტიპის ვექტორში და შემდეგ დაბეჭდეთ შეტანილი სიმბოლოების რაოდენობა.

8. იპოვეთ და დაბეჭდეთ 7–დან 32–მდე რიცხვების ჯამი.

9. იპოვეთ 14 –იდან 102 –მდე კენტი რიცხვების ჯამი.

10. იპოვეთ 4 –იდან 123 –მდე ლუწი რიცხვების ჯამი.

11. იპოვეთ 5 –იდან 103 –მდე 5–ის ჯერადი რიცხვების ჯამის მეოთხედი.

12. იპოვეთ m-იდან n-მდე ნატურალურ რიცხვთა ჯამი. m და n შემოიტანეთ კლავიატურიდან.

13. a და b – მთელი რიცხვებია. c ცვლადს მიანიჭეთ a–დან b–მდე რიცხვების საშუალო არითმეტიკული, და შემდეგ დაბეჭდეთ. a და b შეიტანეთ კლავიატურიდან.

14. კლავიატურიდან შევიტანოთ 12 მთელი რიცხვი და დავბეჭდოთ მათი საშუალო არითმეტიკული.

15. იპოვეთ შემთხვევითი რიცხვების, გარდა ლუწი რიცხვებისა, საშუალო არითმეტიკული ვიდრე მათი ჯამი არ გახდება 21 –ის ჯერადი.

16. იპოვეთ შემთხვევითი რიცხვების, გარდა 5–ის ჯერადი რიცხვებისა, საშუალო არითმეტიკული ვიდრე მათი ჯამი არ გახდება 19 –ის ჯერადი.

17. რამდენჯერმე დაბეჭდეთ `cout << (1.0*rand())/RAND_MAX << endl;` რა ტიპის შემთვევით რიცხვებს ქმნის `(1.0*rand())/RAND_MAX` ? რომელი დიაპაზონიდან?

18*. წინა სავარჯიშოს საფუძველზე, როგორ შევქმნათ შემთხვევითი ნამდვილი რიცხვები დიაპაზონიდან `[a.b]`?

ლაბორატორიული მეცადინეობა № 6

ლაბორატორიული სამუშაოს ამოწერა:

- `rand()` და `time()` ფუნქციების გამოყენება
- შემთხვევითი რიცხვების შექმნა და ბეჭდვა

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1. დაბეჭდეთ სამი მთელი შემთხვევითი რიცხვი `[0;100]` შუალედიდან.

შესაბამის პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////
// ავტორი:
// პროგრამა: სამი შემთხვევითი რიცხვის [0;100]
//                შუალედიდან ბეჭდვა
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  cout<<"random numbers:\n";
  cout<<rand()%101<<' '<<rand()%101<<' '
      <<rand()%101<<endl;
  system("PAUSE");
  return 0;
}
```

დავალება:

გადაწერეთ პროგრამა ისე, რომ შესაძლებელი გახდეს N ცალი შემთხვევითი რიცხვის `[0;100]` შუალედიდან დაბეჭდვა, თუ N–ის მნიშვნელობას შევიტანთ კლავიატურიდან.

ამოცანა 2. დაწერეთ პროგრამა, რომელიც ბეჭდავს მიმდინარე დროს წამებში და წუთებში..

შესაბამის პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////
// ავტორი:
// პროგრამა: მიმდინარე დროის წამებში და
//               წუთებში ბეჭდვა
//////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <ctime>
using namespace std;
int main(){
  cout<<"mimdinare dro (second): "<<time(NULL)<<endl;
  cout<<"mimdinare dro (minute): "<<time(NULL)/60<<endl;
  system("PAUSE");
  return 0;
}
```

დავალება:

დაამატეთ პროგრამაში შეტყობინება, რომელიც დაბეჭდავს მიმდინარე გროს საათებში.

ამოცანა 3. შექმენით 10 შემთხვევითი მთელი რიცხვი `[65,90]` დიაპაზონიდან – დიდი ინგლისური ასოების კოდები. დაბეჭდეთ ამ კოდების შესაბამისი სიმბოლოები. დასაბეჭდად გამოიყენეთ თქვენ მიერ განსაზღვრული ფუნქცია. შემდეგ დაბეჭდეთ სიმბოლოების მორის უმცირესი და მისი კოდი.

შესაბამის პროგრამას აქვს სახე:

```
////////////////////////////////////////////
// ავტორი:
// პროგრამა: 10 შემთხვევითი რიცხვის შექმნა და მათი
//              შესაბამისი სიმბოლოების ბეჭდვა
////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <vector>
#include <algorithm>
using namespace std;
void printChar(vector<int> );
int main(){
  vector<int> vec;
  int code;
  for(int count=1; count<=10; count++){
     code =rand()%(91 -65) + 65;
     vec.push_back(code);
  }
  printChar(vec);
  sort( vec.begin(), vec.end() );
  printChar(vec);
  cout<<"umciresia "<<(char)vec[0]
      <<" kodiT "<<vec[0]<<endl;
  system("PAUSE");
  return 0;
}
void printChar(vector<int> m){
   for(int i=0; i<m.size(); i++ )
      cout<<(char)m[i]<<' ';
   cout<<endl;
}
```

დავალება:

შეცვალეთ პროგრამა ისე, რომ მან დაბეჭდოს შემთხვევითი კოდების მქონე სიმბოლოები დალაგებული კლებადობით. **მითითება:**

```
sort( vec.begin(), vec.end() );
```

ალგორითმის ნაცვლად გამოიყენეთ მისი სხვა სახე:

```
sort( vec.rbegin(), vec.rend() );
```

შესაბამისად შეცვალეთ უმცირები სიმბოლოს და მისი კოდის ბეჭდვის შეტყობინებაც.

ამოცანა 4. დაწერეთ პროგრამა, რომელიც შექმნის 25 შემთხვევით პატარა ასოს (['a','z'] შუალედიდან) და შემდეგ დაბეჭდავს უდიდესის კოდს. **მითითება:** ისარგებლეთ ფორმულით:

```
rand()%('z'+1- 'a') + 'a';
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. მოცემული ფაილი შეიცავს 3 სიმბოლოს. სიმბოლოთა შორის უმცირესი და უდიდესი მათ კოდებთან ერთად დაბეჭდეთ სხვა ფაილში. ამოცანა გაანალიზეთ ორი ხერხით: 1) ვექტორის და დალაგების ალგორითმის გამოყენების გარეშე; 2) სათანადო ტიპის ვექტორის და დალაგების ალგორითმის გამოყენებით.
2. 75 შემთხვევითი რიცხვი დიაპაზონში [-15,80] დაბეჭდეთ კლებადობით.
3. კლავიატურიდან შემოიტანეთ N რაოდენობის ნამდვილი რიცხვი. დაბეჭდეთ დადებით რიცხვების შორის უმცირესი და მისი რიგითი ნომერი.

პრაქტიკული მეცადინეობა № 7

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- ფუნქციის პარამეტრები, დასაბრუნებელი მნიშვნელობა
- ფუნქციის პროტოტიპი, განსაზღვრა
- ფუნქციის გამოძახება

მასალა დამოუკიდებლად გასაცნობისათვის:

1. მარტივი ფუნქციების და ძირითად პროგრამაში მათი გამოძახების ნიმუშები.
   მითითება: იმისათვის რომ ვნახოთ შექმნილი ფუნქციის მუშაობის შედეგი, მოყვანილი ფრაგმენტები უნდა შევავსოთ სრულ პროგრამამდე. მაგალითად, პირველი ფრაგმენტისთვის უნდა დავწეროთ:

```
#include <iostream>
using namespace std;
int my_abs(int );
int main(){
      int a, n;
      cin>>a;
      n = my_abs(a);
      cout<<n<<endl;
   system("pause");
   return 0;
}
   int my_abs(int x){
       if(x >= 0) return x;
       return -x;
   }
```

ხოლო სხვა ნიმუშებში შევცვალოთ ფუნქციის სათაური (პროტოტიპი), main()-ის ფრაგმენტი და ფუნქციის განსაზღვრა შესაბამისად.

№	ფუნქცია	ფუნქციის გამოძახება – main()-ის ფრაგმენტი

1	/*ფუნქცია პოულობს მთელი რიცხვის მოდულს*/
	int my_abs(int x){
	if(x >= 0) return x;
	return -x;
	}
		int main(){
		int a, n;
		cin>>a;
		n = my_abs(a);
		cout<<n<<endl;
		. . .
		}

2	/* ფუნქცია პოულობს ნამდვილი რიცხვის მოდულს */
	float my_fabs(float x){
	if(x < 0) return -x;
	return x;
	}
		int main(){
		float y, k;
		cin>>y;
		k = my_fabs(y);
		cout<<k<<endl;
		. . .
		}

3	/* ფუნქცია ადგენს რიცხვის ნიშანს */
	int my_sign(float x){
	if(x > 0) return 1;
	else if(x == 0) return 0;
	return -1;
	}
		int main(){
		float n; int s;
		cin>>n;
		s = my_sign(n);
		cout<<s<<endl;
		. . .
		}

4	/* ფუნქცია პოულობს 2 მთელი რიცხვიდან	int main(){ int m, n, max;

	უდიდესს */
	int my_max2(int a, int b){
	  if(a > b) return a;
	  return b;
	}
		cin>>m>>n;
		  max = my_max2(m,n);
		  cout<<max<<endl;
		  . . .
		}

5	/* ფუნქცია პოულობს 2 ნამდვილი რიცხვიდან უმცირესს */
	float my_fmin2(float x, float y){
	  return (x < y) ? x : y;
	}
		int main(){
		  float a, b, min;
		  cin>>a>>b;
		  min = my_fmin2(a,b);
		  cout<<min<<endl;
		  . . .
		}

6	/* ფუნქცია პოულობს 3 მთელი რიცხვიდან უმცირესს */
	int my_min3(int a, int b, int c){
	  int m = a;
	  if(b < m) m = b;
	  if(c < m) m = c;
	  return m;
	}
		int main(){
		  int k, n, m, min;
		  cin>>k>>n>>m;
		  min = my_min3(k,n,m);
		  cout<<min<<endl;
		  . . .
		}

7	/* ფუნქცია პოულობს 3 ნამდვილი რიცხვიდან უდიდესს */
	float my_fmax3(float a,float b,float c){
	  float m = a;
	  if(b > m) m = b;
	  if(c > m) m = c;
	  return m;
	}
		int main(){
		  float x, y, z, max;
		  cin>>x>>y>>z;
		  max = my_fmax3(x,y,z);
		  cout<<max<<endl;
		  . . .
		}

8	/* ფუნქცია ითვლის მთელი რიცხვის კვადრატს */
	int square(int a){
	  return a * a;
	}
		int main(){
		  int k;
		  cin>>k;
		  cout<<square(k)<<endl;
		  . . .
		}

9	/* ფუნქცია ითვლის ორი მთელი რიცხვის საშუალოს */
	double average(int n, int m){
	  return (n + m)/2.;
	}
		int main (){
		  int a, b; double rez;
		  cin>>a>>b;
		  rez = average(a,b);
		  cout<<rez<<endl;
		  . . .
		}

11	/* ფუნქცია პოულობს შემთხვევით რიცხვს [A,B] შუალედიდან */
	
	int my_rand(int A, int B){
	  return rand()%(B + 1 - A) + A;
	}
		int main(){
		  int A, B, number;
		  cin>>A>>B;
		  number = my_rand(A, B);
		  cout<<number<<endl;
		  . . .
		}

12	/* ფუნქცია ითვლის x რიცხვის მთელ n ხარისხს, $x \neq 0$, $n \geq 0$ */
	float my_pow(float x, int n){
	// precondition: n >= 0, x != 0
	  float d = 1; int i;
	  if(n == 0) return 1;
	  else{
		int main(){
		  float x, degree;
		  int n;
		  cin>>x>>n;
		  degree = my_pow(x, n);
		  cout<<degree<<endl;
		  . . .

	``
	    for(i = 1; i <= n; i++)
	       d *= x;
	    return d;
	  }
	}
	``
		``
		}
		``

2. მარტივი bool ტიპის ფუნქციები (ფუნქცია–პრედიკატები) და ძირითად პროგრამაში მათი გამოძახების მაგალითები

№	ფუნქცია	ფუნქციის გამოძახება

1	```
	/* ფუნქცია ადგენს არის თუ არა მთელი N
	      რიცხვი 3 –ის ჯერადი */
	int Multiple_3(int N){
	   if(N%3 == 0) return 1;
	   return 0;
	}
	``
		``
		int main(){
		  int number, k;
		  cin>>number;
		  k = Multiple_3(number);
		  if(k == 1)
		    cout<<number<<" aris 3-is"
		          " jeradi\n";
		  else cout<<number<<" ar aris"
		          " 3-is jeradi\n";
		  . . .
		}
		``

2	```
	/* ფუნქცია ადგენს არის თუ არა მთელი A
	          რიცხვი ლუწი */
	int IsEven(int N){
	   return N%2 == 0;
	}
	``
		``
		int main(){
		  int num;
		  cin>>num;
		  if(IsEven(num))
		      cout<<num<<" is even\n";
		  else cout<<num<<" is't"
		         " even\n";
		  . . .
		}
		``

3	```
	/* ფუნქცია ადგენს არის თუ არა ნამდვილი
	      D რიცხვი უარყოფითი */
	bool IsNegative(float D){
	   if(D < 0)
	      return true;
	   return false;
	}
	``
		``
		int main(){
		  float num;
		  cin>>num;
		  if(IsNegative(num))
		   cout<<num<<" is negative\n";
		  else cout<<num<<" is't"
		         " negative\n";
		  . . .
		}
		``

4	```
	/* ფუნქცია ადგენს არის თუ არა მთელი N
	  რიცხვი დადებითი და 5 –ის ჯერადი */
	bool func(int N){
	   if(N > 0 && N%5 == 0)
	     return true;
	   return false;
	}
	``
		``
		int main(){
		  int number;
		  bool answer;
		  cin>>number;
		  answer = func(number);
		  if(answer)
		     puts("Yes");
		  else puts("No");
		  . . .
		}
		``

5	```
	  /* ფუნქცია ადგენს არის თუ არა მისი
	     პარამეტრი სიმბოლო–ციფრი */
	bool IsDigit(char p){
	   if(p >= '0' && p <= '9')
	      return true;
	   return false;
	}
	``
		``
		int main(){
		  char ch;
		  cin>>ch;
		  if(IsDigit(ch))
		    cout<<ch<<" aris "
		         "simbolo-cifri\n";
		  else cout<<ch<<" ar aris "
		         "simbolo-cifri\n";
		``

		. . . }

6	/* ფუნქცია ადგენს არის თუ არა მისი პარამეტრი დიდი ასო */
	bool IsUpperLetter(char p){
	if(p >= 'A' && p <= 'Z')
	return true;
	return false;
	}
		int main(){
		char sym;
		cin>>sym;
		if(IsUpperLetter(sym))
		cout<<sym<<" aris"
		" didi aso\n";
		else cout<<sym<<" ar aris"
		" didi aso\n";
		. . .
		}

საუდიტორიო სამუშაო:

1. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოითვლის გამოსახულებას $2x^3+3x^2-5x-10$, სადაც x მთელი რიცხვია. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კლავიატურიდან შემოტანილი მთელი რიცხვისთვის და შედეგი დაბეჭდეთ.

```
#include <iostream>
using namespace std;
int func(int x);   // ფუნქციის პროტოტიპი (ფუნქციაზე განაცხადი)
int main(){
  int a, rezult;
  cout<<"ShemoitaneT mTeli ricxvi  ";
  cin>>a;
  rezult = func(a);   // ფუნქციის გამოძახება
  cout<<"Gamosaxuleba = "<<rezult<<endl;
  //system("PAUSE");
  return 0;
}
// ფუნქციის განსაზღვრა
int func(int x){
  return 2*x*x*x+3*x*x-5*x-10;
}
```

პროგრამა დაბეჭდავს:

```
ShemoitaneT mTeli ricxvi  5
Gamosaxuleba = 290
Press any key to continue . . .
```

2. შექმენით ფუნქცია პროტოტიპით `bool IsLetter(char p)`, რომელიც დაადგენს არის თუ არა მისი p პარამეტრი ასო. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კლავიატურიდან შემოტანილი სიმბოლოსთვის და შედეგი დაბეჭდეთ.

```
#include <iostream>
using namespace std;
bool IsLetter(char p);
int main(){
  char sym;
  cout<<"ShemoitaneT simbolo : ";
  cin>>sym;
  if( IsLetter(sym) )
     cout<<sym<<" aris aso\n";
  else cout<<sym<<" ar aris aso\n";
  //system("PAUSE");
```

```
  return 0;
}
bool IsLetter(char p){
  if(p >= 'a' && p <= 'z'
       || p >= 'A' && p <= 'Z')
    return true;
  return false;
}
```

პროგრამა დაბეჭდავს:

```
ShemoitaneT simbolo : R
R aris aso
Press any key to continue . . .
```

3. numbers.dat ფაილში ჩაწერილია მთელი რიცხვები. დაითვალეთ, რამდენი კხრიანია ფაილში.

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
#include <algorithm>
using namespace std;
int main(){
  int number;
  vector<int> N;
  ifstream fin("numbers.dat");
  while(fin>>number)
     N.push_back(number);
  int quantity;
  quantity = count( N.begin(), N.end(), 9);
  cout<<quantity<<endl;
  //system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

numbers.dat ფაილი	გამოსატანი ეკრანი
1 2 3 4 9 6 7 8 9 10 11 12 13 9 15	3 Press any key to continue . . .

4. numbers.dat ფაილში ჩაწერილია მთელი რიცხვები. დაითვალეთ, მათგან რამდენია კენტი.

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
#include <algorithm>
using namespace std;
bool isOdd(int x)       // ფუნქცია-პრედიკატზე განაცხადი
{                       // და მისი განსაზღვრა
   return x % 2 != 0;
}
int main(){
  int number;
  vector<int> N;
  ifstream fin("number.dat");
  while(fin>>number)
```

```
    N.push_back(number);
  int quantity;
  // აქ გამოიყენება ფუნქცია isOdd
  quantity = count_if( N.begin(), N.end(), isOdd);
  cout<<quantity<<endl;
  //system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

numbers.dat ფაილი	გამოსატანი ეკრანი
1 2 3 4 9 6 7 8 9 10 11 12 13 9 15	9 Press any key to continue . . .

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოითვლის გამოსახულებას:
   ა) $x^3 - 4x^2 + 5x - 7$;
   ბ) $0.5x^2 + 2.5x + 12$.
   x მთელი რიცხვია. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კლავიატურიდან შემოტანილი მთელი რიცხვისთვის და შედეგი დაბეჭდეთ.

2. მოცემულია პირობა $f(x) = \begin{cases} 2x + 34, & \text{თუ } x \geq 10, \\ x^2 - x - 1, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში.} \end{cases}$

   დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოითვლის $f(x)$-ის მნიშვნელობას მთელი x რიცხვისთვის. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კლავიატურიდან შემოტანილი მთელი რიცხვისთვის და შედეგი დაბეჭდეთ.

   გაარჩიეთ ამ ამოცანის შესაბამისი პროგრამა:

```
#include <iostream>
using namespace std;
int function(int x);
int main(){
  int a, rezult;
  cout<<"ShemoitaneT mTeli ricxvi  ";
  cin>>a;
  rezult =function(a);
  cout << "Gamosaxuleba = " << rezult << '\n';
  //system("PAUSE");
  return 0;
}
int function(int x){
  if(x >= 10) return 2*x+34;
  return x*x-x-1;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
ShemoitaneT mTeli ricxvi  7
Gamosaxuleba = 41
Press any key to continue . . .
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა კომპიუტერზე სხვადასხვა მთელი a რიცხვისთვის;
ბ) ახსენით function ფუნქციის ალგორითმი.

3. მოცემულია პირობა:

ა) $f(x)=\begin{cases} 5x^3-12, & \text{თუ } x>3, \\ x^2+2x+4, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში.} \end{cases}$;

ბ) $f(x)=\begin{cases} 0.2x+3.45, & \text{თუ } x\geq 10, \\ x^2-x-1, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში.} \end{cases}$;

გ) $f(x)=\begin{cases} 7x^2+3, & \text{თუ } x\geq 1, \\ x-25, & \text{თუ } x=0, \\ x^3+6x+8, & \text{თუ } x\leq -1. \end{cases}$;

დ) $f(x)=\begin{cases} 11.4x-0.3, & \text{თუ } x>5, \\ x^2-2.5x+9, & \text{თუ } x=5, \\ x^3-8, & \text{თუ } x<5. \end{cases}$.

დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოითვლის $f(x)$-ის მნიშვნელობას მთელი x რიცხვისთვის. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კლავიატურიდან შემოტანილი მთელი რიცხვისთვის და შედეგი დაბეჭდეთ.

4. მოცემულია პირობა:

ა) $f(x)=\begin{cases} 100.5x^3+50, & \text{თუ } x\leq 20.5, \\ 20x-45.5, & \text{წინააღმდეგ შემთხვევაში.} \end{cases}$;

ბ) $f(x)=\begin{cases} 15x^2+30x+20, & \text{თუ } x\geq 10.5, \\ x^3-40x+50, & \text{თუ } x=10.5, \\ x+25.5, & \text{თუ } x\leq 10.5. \end{cases}$.

დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოითვლის $f(x)$-ის მნიშვნელობას ნამდვილი x რიცხვისთვის. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კლავიატურიდან შემოტანილი ნამდვილი რიცხვისთვის და შედეგი დაბეჭდეთ.

5. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაადგენს:
   ა) არის თუ არა მთელი N რიცხვი უარყოფითი. N ფუნქციის პარამეტრია;
   ბ) არის თუ არა მთელი K რიცხვი 5-ის ან 7-ის ჯერადი. K ფუნქციის პარამეტრია;
   გ) არის თუ არა ნამდვილი M რიცხვი 10-ზე ნაკლები. M ფუნქციის პარამეტრია;
   დ) ბოლოვდება თუ არა მთელი A რიცხვი 3-ით ან 9-ით. A ფუნქციის პარამეტრია;
   ე) წარმოადგენს თუ არა მისი პარამეტრი – სიმბოლო B – პატარა ასოს;
   ვ) არის თუ არა მთელი M რიცხვი სამნიშნა. M ფუნქციის პარამეტრია.

6. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც იპოვის:
   ა) N-დან M-მდე ჩათვლით კენტი რიცხვების საშუალო არითმეტიკულს. N და M ფუნქციის პარამეტრებია;
   ბ) C-დან D-მდე ჩათვლით ლუწი რიცხვების რაოდენობას. C და D ფუნქციის პარამეტრებია;
   გ) a-დან b-მდე ჩათვლით 7-ის ჯერადი რიცხვების ჯამს. a და b ფუნქციის პარამეტრებია;
   დ) M-დან K-მდე ჩათვლით 3-ის ჯერადი რიცხვების საშუალო არითმეტიკულს. M და K ფუნქციის პარამეტრებია.

7. შექმენით ფუნქცია, რომელიც:
   ა) გამოითვლის სამი მთელი რიცხვის საშუალო არითმეტიკულს. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და დაბეჭდეთ მიღებული შედეგი;

ბ) დააბრუნებს მთელი რიცხვის კუბს. ეს რიცხვი ფუნქციის პარამეტრს წარმოადგენს. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში და დაბეჭდეთ 1-დან 100-მდე რიცხვთა კუბები;

გ) გამოითვლის მართკუთხედის ფართობს (მართკუთხედის სიგრძე და სიგანე – ფუნქციის პარამეტრებია). გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და შეადარეთ 2 მართკუთხედის ფართობი;

დ) დააბრუნებს 2 მთელ რიცხვს შორის უმცირესს. რიცხვები ფუნქციის პარამეტრებს წარმოადგენენ. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და იპოვეთ 4 მთელ რიცხვს შორის უმცირესი;

ე) გამოითვლის სამკუთხედის ფართობს 3 გვერდის მიხედვით. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და შეადარეთ 2 სამკუთხედის ფართობი;

ვ) დააბრუნებს 1-ს, თუ მისი პარამეტრი-სიმბოლო არის ხმოვანი ასო, წინააღმდეგ შემთხვევაში დააბრუნებს 0-ს. ძირითად პროგრამაში გამოიძახეთ ფუნქცია სხვადასხვა სიმბოლოებისათვის;

ზ) პარამეტრად მიიღებს სიმბოლოს, და თუ ეს სიმბოლო-ციფრია – დააბრუნებს მის კოდს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დააბრუნებს –1-ს. გამოიყენეთ ფუნქცია ფაილში ჩაწერილი სიმბოლოების მიმდევრობისათვის.

8. გაარჩიეთ პროგრამა, რომელიც ხსნის შემდეგ ამოცანას:

უმცირესი მთელი რიცხვი, რომელიც მეტია $\log_2 N$ -ზე, წარმოადგენს ბიტების რაოდენობას მთელი N რიცხვის ორობით ჩანაწერში. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოითვლის $\log_2 N$ -ზე მეტ უმცირეს მთელ რიცხვს. გამოიყენეთ ფუნქცია მთელი N რიცხვის ორობით წარმოდგენაში ბიტების რაოდენობის განსაზღვრისთვის.

```
#include <iostream>
using namespace std;
int my_log2(int N);
int main(){
  int N, degree;
  cin >> N;
  degree = my_log2(N);
  cout << degree << endl;
  system("PAUSE");
  return 0;
}
int my_log2(int N){
   int d;
   if(N < 0) N = -N;
   for(d =0; N > 0; d++, N /= 2);
   return d;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
9
4
Press any key to continue . . .
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა კომპიუტერზე სხვადასხვა მთელი N რიცხვისთვის;

ბ) ახსენით my_log2 ფუნქციის ალგორითმი.

9. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც ითვლის:

ა) $1+\frac{1}{2}+\frac{1}{3}+\cdots+\frac{1}{20}$ ჯამს; ბ) $1+\frac{1}{3}+\frac{1}{5}+\cdots+\frac{1}{n}$ ჯამს, სადაც კენტი n რიცხვი ფუნქციის პარამეტრია.

ლაბორატორიული მეცადინეობა № 7

ლაბორატორიული სამუშაოს ამოცანა:

- ორ ცვლადს შორის უდიდესის დამდგენს ფუნქციის შექმნა
- ფუნქციის შექმნა, რომელიც დაადგენს, წარმოადგენს თუ არა სტრიქონი პალინდრომს

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1: შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვის 2 მთელი რიცხვიდან უდიდესს. ეს რიცხვები ფუნქციის პარამეტრებია. გამოიყენეთ ფუნქცია main–ში კლავიატურიდან შემოტანილი 2 მთელი რიცხვისთვის და დაბეჭდეთ მათ შორის უდიდესი.

პროგრამის სახე შემდეგია:

```
//////////////////////////////////////////
// პროგრამა: 2 მთელ რიცხვს შორის უდიდესის
//                პოვნა
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int max2Int(int , int );
int main(){
  int a, b;
  cout << "SemoitaneT 2 mTeli ricxvi : ";
  cin >> a >> b;
  int max = max2Int(a, b);
  cout << "udidesia " << max << endl;
  system("PAUSE");
